ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ქალის დანაწევრებული სხეული ქუთაისში იმ ჩიხში იპოვეს, სადაც მანამდე დაქუცმაცებული კატა ნახეს



გვ.7

7 მაისიდან

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

პატარა პრინცი

„მე მიყვარს კითხვა“





ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

სამშაბათი, 7 მაისი, 2019 | №106 (8060) | ფასი: 60 თეთრი

# ნიკა გვარამია: „ნინო ნიჟარაძე 26 მილიონ ლარს ითხოვს ჩემგან და რუსთავი 2-ის მეწილეებისგან“



ნინო ნიჟარაძე არის რუსთავი 2-ის ყოფილი დირექტორის, აწ გარდაცვლილი გოგი გეგეშიძის მეუღლე

გვ.4





გვ.2

## „გახარია პრემიერობას ვერ ელირსება“



ლადო სადღობელაშვილი: „ივანიშვილი საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებს“

## ლევან კობერიძე: „ხალხმა უნდა იცოდეს, რატომ მოხსნეს ქობულია“



გვ.3

„ჩემი მიზანი სამართლიანობის აღდგენა იყო და არა მურუსიძის უვადოდ დანიშვნა“

## გია ნოდია: „ვადამდელი არჩევნები კრიზისის აღიარება იქნება, რასაც ივანიშვილი არ დათანხმდება“



გვ.4



გვ.5

## „ბახტაძეს ძალიან გაუხარდება თუ მოხსნიან“

## 9 მაისს ვაკის პარკში შეიძლება სისხლი დაიღვაროს

ტრისტან წითელაშვილი: „იარაღი თან მექნება და საჭირო თუ გახდება, ვისვრი“



გვ.3

### სამართალი

გვ.7



რა ჰკითხა იაგო ნებიერიძემ მოწმეს, რომელმაც ის მკვლელობის ადგილზე დაინახა



„თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე გამოძიება უახლოესი ორი თვის განმავლობაში დასრულდება“ რას ამბობენ პროკურატურაში



2 ირანელ ნარკომოვაჭრეს 16–16 წელი მიესაჯა

### ეკონომიკა

გვ.6

საქართველოში ელექტროენერგიის პიკური მოთხოვნა ზამთრიდან ზაფხულზე გადავა



რუსეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია საქართველოში მონოპოლისტი ხდება





საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებისთვის წელს 15.5 მილიონი ლარი დაიხარჯება



ISSN 1987-9385

5 ანზორ აბრალავა: „საქართველოს ხელისუფლებას კონცეფცია არ გააჩნია“

3 პატრიარქის ნათლული 777 ჩვილი გახდა

5 საქართველოს მოსახლეობა რუმინეთის შემდეგ ყველაზე ღარიბია ევროპაში

6 გიორგი ქობულია: „თუ პარლამენტში მიმიწვევენ და მომთხოვენ პასუხს, აბა მოგვიყევი, მინისტრო, რა გააკეთეო, მოვალედ ჩავთვლი თავს, რომ მივიდე“

# „გახარია პრემიერობას ვერ ელირსება“

## ლადო სადღობელაშვილი: „ივანიშვილი საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებს“

შორენა მარსაგიშვილი

რა საგარეო კურსი აირჩია საქართველოს ხელისუფლებამ, ვინ უშლის ხელს გახარიას გაპრემიერებაში, ვის შეუძლია ივანიშვილის ჩამოგდება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვარაუდი გამოვთქვი, თუ რა არჩევანს გააკეთებდა ივანიშვილი. ის ან ერდოღანის გზას დაადგებოდა, ანდა დემოკრატიული გზით მოახდენდა ხელისუფლების გადაბარებას. იმედი მქონდა, რომ გადაბარება მოხდებოდა.

მმართველ პარტიაში სერიოზულად მუშავდებოდა გეგმა, რომლის მიხედვითაც 2020 წლის არჩევნებზე ბევრ პარტიას შეიყვანდა პარლამენტში. საუბარია არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილზე. ასევე იგეგმებოდა „ოცნებიდან“ წამოსულებისგან ახალი პარტიის შექმნა, რომელსაც ასევე შეიყვანდა საკანონმდებლო ორგანოში.

იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის დემოკრატიულობის განცდა გაეჩინათ, ნაცებს პირველ ადგილზე გაიყვანდა, „ოცნება“ მეორე ადგილზე გავიდოდა. მაგრამ ხელისუფლებას მაინც შეინარჩუნებდა, რადგან სხვა პარტიებთან ერთად შექმნიდა კოალიციას.

მოვლენები ასე რომ განვითარებულიყო, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ცოტა სხვა რელსებზე დავდექით.

***– რა რელსებზე დავდექით?***

– რა რელსებზე და რუსეთის რელსებზე. გახსოვთ, მოვლენების ამგვარ განვითარებაზე ძველ ინტერვიუებში გესაუბრებოდით? მაგრამ მაშინ იმედი მქონდა, რომ ეს ასე არ მოხდებოდა.

***– ეს ვარაუდი პირველად მაშინ გამოთქვით, როცა ცნობილი გახდა, რომ საქართველოში გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ჩამოვიდოდა.***





ვიგებთ, რომ „გალფს“ ახლა „როსნეფტი“ აკონტროლებს. უკაცრავად, მაგრამ ვისი იყო ეს „გალფი“? ვისი იყო და კეზერაშვილის. ამ ადამიანის მიმართ უამრავი საქმე იყო აღძრული, მაგრამ ყველა სასამართლო მოიგო და გამართლდა.

შემთხვევით იმ პირობით ხომ არ გაამართლეს, რომ „გალფი“ რუსეთის ხელში გადავიდოდა. დაახლოებით იგივე ხდება ახლა „ვისოლთან“ დაკავშირებით. ისიც რუსების ხელში გადადის.

საკვები პროდუქტები კარგა ხანია რუსეთიდან შემოდის, ახლა ენერგომატარებლებითაც მათზე ვხდებით დამოკიდებული. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ აზერბაიჯანთან ვითარების გამწვავება იმას ემსახურებოდა, რომ მათგან გაზი და საწვავი აღარ შემოვიტანოთ.

***– და გაზპრომდამოკიდებულები გავხდეთ?***

– აბა ტყუილად კი არ გააფორმებინეს კალაძეს გაზპრომთან საიდუმლო ხელშეკრულება.

ივანიშვილი დაადგა რუსეთის გზას და აქედან გამომდინარე საქართველო ნელ-ნელა სცილდება თავის სტრატეგიულ პარტნიორს – ამერიკას.

თქვენ შემთხვევითი გგონიათ ნეიტრალიტეტის თემის გააქტიურება? თან ეს თემა ივანიშვილის კონტროლირებადმა პარტიამ – პატრიოტთა ალიანსმა წამოსწია.

***– რატომ მარტო ალიანსმა, ივანიშვილის ხელდასმულმა პრეზიდენტმაც იგივე არ დაახეთქა?***

– სალომე ზურაბიშვილიც ამას ამბობს. პირდაპირ გვეუბნებიან, რომ დასავლეთს ვშორდებით. აქ თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, საქართველო გახდება ბუფერული ზონა რუსეთსა და დასავლეთს შორის.

ამ ვითარებას რომ ვუყურებ, კიდევ უფრო ღრმად ვრწმუნდები იმაში, რომ გიორგი გახარია საქართველოს პრემიერობას ვერ ელირსება.

***– რუსულ რელსებზე თუ დავდექით, გახარიას გაპრემიერება უფრო ლოგიკური არ იქნება? როგორც ამბობენ, ის რუსეთის კაცია.***

– გახარიას გაპრემიერება ახლა არ არის აქტუალური. ამ ადამიანს სულ სხვა მისია აქვს შესასრულებელი.

***– რა მისია?***

– მისგან ქმნიან საფრთხობელას, რომელიც ივანიშვილის დავალებებს ცივსისხლიანად შეასრულებს. „ოცნების“ ლიდერი მხოლოდ ასე თუ შეინარჩუნებს წესრიგს.

***– ეს არის წესრიგი? კრიმინალს მიაქვს ქვეყანა. ისე ცუდად არის საქმე, რომ კრიმინალის ზრდას თვით ქოცებიც კი აღიარებენ.***

– ამ შემთხვევაში მე პოლიტიკური წესრიგის შენარჩუნებაზე ვსაუბრობ. ძალაუნებურად გახარიას მიმართ ერთგვარი შიში ყალიბდება.

***– ვის ეშინია ამ გახარიასი? კრიმინალებს არაფერი ეტყობათ შიშის.***

– კრიმინალებზე არც ვსაუბრობ. პოლიტიკური სპექტრი მყავს მხედველობაში.

***– აქ ვიღას ეშინია?***

– ყველას.

***– რაში გამოიხატება ეს შიში?***

– დააკვირდით მათ გამოსვლებს. სულ შს მინისტრის ლანძღვაში არიან, დანარჩენები აღარც ახსოვთ. გახარიას ისტერიული ლანძღვა მიუთითებს იმაზე, რომ მისი ეშინიათ.

***– ნაცებზე მეტად გახარიასი „ოცნებაში“ უფრო ეშინიათ. ის მმართველ გუნდში თითქმის არავის უყვარს.***

– რანაირად ეყვარებათ, მისი ეშინიათ. ყველა ვხედავთ, რომ გახარია ნელ-ნელა ემსგავსება ვანო მერაბიშვილს.

***– რითი ემსგავსება?***

– მისი პოლიტიკა აქვს არჩეული. გახარია ცდილობს, რომ ქვეყნის ხერხემალი გახდეს. ამაში მას ივანიშვილიც ხელს უწყობს.

„ოცნების“ ლიდერს ხერხემალი სჭირდება, მაგრამ ის ვარდება მძიმე დღეში, ვინც ხერხემლობას იკისრებს.

გახარიას მინდა ვუთხრა, რომ ხერხემლობა მერე ცხვირის წამტვრევით და ფეხის მოტეხვით სრულდება ხოლმე. ხერხემლობის ბოლო ან ციხეა, ანდა ქვეყნიდან გაქცევა.

***– შს მინისტრი ამდენს ვერ ხვდება? გულუბრყვილო ადამიანის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.***

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის შინაგან საქმეთა მინისტრმა.

***– აბა რა ქვეყნის ხერხემლობა აუტყდა?***

– სხვა გამოსავალი არ აქვს, უნდა იხერხემლოს. ცდილობს, ფრთხილად გააკეთოს ეს ყოველივე. შს მინისტრი ფაქტიურად ბეწვის ხიდზე გადის.

ივანიშვილს ისეთი მმართველობის სტილი აქვს არჩეული, რომ აქ ხერხემლობა, სულ რომ კრისტალი იყო, მაინც წაგამტვრევინებს ცხვირს.

ისევ რუსეთის რელსებს დავუბრუნდები და შემთხვევითი არ არის, რომ „ოცნება“ თავის თავს გარდამავალ მთავრობას უწოდებს. ნამდვილად გარდამავლები არიან, ოღონდ რუსეთისკენ გარდამავლები.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის გზას დაადგნენ, დასავლეთისთვის ღიად ზურგის შექცევა უტყდებათ. დასავლურობა ერთგვარი ბრენდია. დასავლეთს ყოველდღე ვშორდებით. აბა გავიდეთ ქუჩაში, რაში გამოიხატება ევროპულობა? არც არაფერში.

***– კალაძე თეთრი ტაქსებით აპირებს თბილისის ევროპასთან დაახლოებას. ევროპული ხარისხის საწვავის აუცილებლობაზეც დაიწყო საუბარი.***

– არანაირი ევროპა არ აინტერესებს კალაძეს. დედაქალაქის მერი გუგულიზაციის გზას დაადგა. საწვავის ხარისხზე საუბრით მიგვანიშნა, რომ საწვავზე ფასები გაიზრდება. გუგული მაღრაძემ სიგარეტის წინააღმდეგ იმხელა კამპანია იმიტომ წამოიწყო, რომ ამ პროდუქციაზე ფასები გაზრდილიყო. ძალიან მალე საწვავის ფასი გაიზრდება, მაგრამ ხარისხი იგივე დარჩება.

***– საწვავზე ფასების ზრდა ბევრ რამეს გააძვირებს. ხალხი ამას მოითმენს?***

– ამასაც მოითმენს და კიდევ ბევრ სხვასაც.

***– და რატომ მოითმენს?***

– სანამ ივანიშვილის საპირწონე საakaშვილი იქნება, ხალხი „ოცნებას“ ყველაფერს მოუთმენს.

პოლიტიკაში გამარჯვება ფულზეა დამოკიდებული. ივანიშვილის დამარცხება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც „ოცნების“ ლიდერზე მეტი ფული ექნება. მე ასეთი დონის ფულს ვერსად ვხედავ. და სანამ ეს ფული არ გამოჩნდება, ივანიშვილიც იქნება.

***– პოლიტიკაში მოთმინების ფიალის ავსება არ მოსულა?***

– არ დაიჯეროთ, რომ ხალხი ქმნის პოლიტიკურ ამინდს. ხალხი რომ მართავდეს პოლიტიკას, არც ერთი მთავრობა არ გაბედავდა იმას, რასაც ბედავს.

არის ასეთი გამოთქმა, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. ასეა პოლიტიკაშიც. ვისაც ბევრი ფული აქვს, ის იგებს არჩევნებს.

ბიძინა ივანიშვილი კიდევ დიდი ხნით აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას. პოზიციების გასამყარებლად სააკაშვილს არაფრით დაუკარგავს აქტუალობას. როგორც უკვე გითხარით, სანამ მიშას ფაქტორი იარსებებს, „ოცნების“ ლიდერი ძალაუფლებას შეინარჩუნებს.

***– მასზე უფრო ფულიანის გამოჩენას გამორიცხავთ?***

– მასზე დიდი ფული არც ერთ ქართველს არა აქვს. რამდენიმე ფულიანის გაერთიანების შემთხვევაში შეიძლება მისი დამარცხება.

მთავარ მეოცნებეს ძალიან ეშინია ფულიანი ხალხის. ამიტომაც არის, რომ „ოცნებიდან“ არ აგდებს კახა კალაძეს.

***– კალაძეს ამდენი ფული აქვს?***

– კალაძეს ბევრი ფული აქვს, მაგრამ მისი ფული ივანიშვილისთვის საფრთხის შემცველი არ არის. სამაგიეროდ, საშიშია ის ხალხი, ვინც კალაძის უკან დგას.

დედაქალაქის მერის უკან მილიარდერი იაკობაშვილი დგას. რაღაც თვალსაზრისით ის შეიძლება გახდეს ივანიშვილის ალტერნატივა.

მამუკა ხაზარაძეს მთავარმა მეოცნებემ რატომ დაუწყო ბრძოლა? ფულის გათეთრების



ბრალდება არის ზღაპარი. ივანიშვილმა მასში თავისი თავის ალტერნატივა დაინახა.

კიდევ ერთხელ გეუბნებით, ეს ადამიანი მანამ იქნება ხელისუფლებაში, ვიდრე ახალი მილიარდერი არ გამოჩნდება ავანსცენაზე.

პროცესების დემოკრატიულად განვითარების იმედი მქონდა, მაგრამ, როგორც ვატყობ, ავტოკრატიულ რეჟიმს ვღებულობთ. „ოცნების“ ლიდერი კიდევ დიდი ხანი იქნება ხელისუფლების სათავეში. ის ტყუილად არ ახსენებს ხოლმე 2030 წელს.

***– 2030 წლამდე გვეყოლება „ოცნება“ და მისი ლიდერი?***

– შეიძლება მთლად 2030 წლამდე არ დარჩნენ, მაგრამ კიდევ კარგა ხანი გაქაჩავენ. დღევანდელი მოცემულობა თუ არ შეიცვალა, 2024 წლამდე თავისუფლად გაქაჩავენ. მერე რუსეთშიც აირევა ყველაფერი და ივანიშვილის მხარდასაჭერად აღარავის ეცლება.

***– რა იცით, რომ 2024 წლისთვის რუსეთში სიტუაცია აირევა?***

– ამაზე თავად რუსი ექსპერტები საუბრობენ. ახლა პუტინი მყარად ზის და ივანიშვილიც მყარად არის. კარგა ხანს აქ ამერიკა ვერაფერს ველარ გააკეთებს.

***– რატომ ვერ გააკეთებს, როგორც ამბობენ, სწორედ ამერიკამ დაბლოკა გახარიას გაპრემიერება.***

– ამერიკა მისი პრემიერობის წინააღმდეგია. ივანიშვილმა მათ მხოლოდ იმიტომ დაუჯერა, რომ თავის ქონებას გაუფრთხილდა. მისი ქონების დიდი ნაწილი დასავლეთშია.

„ოცნების“ ლიდერს გახარიას პრემიერობა თავისი ანგარიშების გაყინვად ნამდვილად არ უღირს.

### „მისი მთავარი მისია ოპოზიციის დაშინება იქნება“

– ყველამ იცის, რომ გაზის წყალობით, საფრანგეთსა და გერმანიას პუტინი აკონტროლებს. ევროპაში ყველაზე ახლო ურთიერთობები სწორედ პარიზთან და ბერლინთან გვაქვს.

ორი ვარიანტია – ან ჩვენ გავდივართ ამ ქვეყნების დახმარებით რუსეთზე, ან რუსეთი გამოდის ამ ხიდებით ჩვენზე. მთავარია, რომ მოსკოვთან ოფიციალური კომუნიკაცია შედგა. აღარაფერს ვამბობ კულუარულ ურთიერთობებზე.

საქართველო რომ რუსეთის რელსებზე დადგა, ეს უკვე ძალიან თვალსაჩინოა. ახლა მიმდინარეობს რუსეთისთვის ენერგოდამოუკიდებლობის ჩაბარება. ყველა ენერგომატარებელი რესურსი ნელ-ნელა რუსების ხელში გადადის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან კობერიძე: „ხალხმა უნდა იცოდეს, რატომ მოხსნეს ქობულია“

## „ჩემი მიზანი სამართლიანობის აღდგენა იყო და არა მურუსიძის უვადოდ დანიშვნა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ლევან კობერიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, „ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მაინცდამაინც ახლა რატომ მიიღეთ?***

– ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი, სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, საერთო სასამართლოების შესახებ კანონი იყო, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ეს კანონი ჩემთვის წყალგამყოფი აღმოჩნდა.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაბატონებულ ე.წ. კლანს მიღებული კანონი სამართლებრივ საფუძვლებს უქმნის. ასევე, უქმნის იმ შესაძლებლობას, რომ კლანი კიდევ უფრო გაძლიერდეს. ამას ვეწინააღმდეგებოდი, მე ამ წინააღმდეგობას მუდმივად ვაფიქსირებდი გუნდის შიგნით და ვთავაზობდი მათ, არ მიგვეღო ეს კანონი.

ყველაზე მთავარი პრობლემა იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაა, რომლის შემადგენლობაში შედიან ის მოსამართლეები, რომელთაც თავიანთი გადაწყვეტილებებით, საქართველოში სამართლიანი სასამართლოს გარანტია და უფლება წაართვეს ადამიანებს. ეს არაერთგზის თქვა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ.

***– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიქაუტაძე არ გამორიცხავს, რომ ის გახდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი. შეიძლება ეს განცხადება დადასტურებაც კი იყოს, რომ კვლავ ვიხილოთ ის 10-კაციანი სია პარლამენტში? ამაზე საუბრობენ კიდეც.***

– მიქაუტაძის განცხადება ადასტურებს იმას, რომ ჩემი პროტესტი ამ საკითხთან დაკავშირებით სავსებით ადეკვატური და სამართლიანი იყო. შეიძლება სრულად ის 10 კაცის სია არ გამოაგზავნონ, მაგრამ აუცილებლად გამოაგზავნიან სიას, რომელიც მათ მიერ იქნება კონტროლირებადი. ეს კიდევ ერთხელ დასტურდება. ეს ადამიანები უპასუხისმგებლოდ იქცევიან როგორც საზოგადოების, ისე სასამართლოს წინაშე.

***– როგორ ფიქრობთ, ვისგან აქვთ მათ მწვანე შუქი? ვინ დგას ამ ყველაფრის სათავეში?***

– მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი თუ როგორ წარიმართა პარლამენტში, როგორ დაჩქარებულად, განსხვავებულ ტემპში, მოწმობს იმას, რომ ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ მათთვის მაქსიმალურად კომფორტული პირობები ყოფილიყო შექმნილი. შესაბამისად, მათი კომფორტი წახალისებული იყო პარლამენტში. თუ არ ვაღიარებთ, რომ სასამართლო სისტემაში არიან ის ადამიანები, რომლებიც სამართლის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებდნენ, თუ არ ვაღიარებთ, რომ სასამართლოში პრობლემები გვაქვს, მაშინ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ყველაფერი კარგად არის, არადა ასე ნამდვილად არ არის. კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმ რეალობას, რაც გვაქვს. ჩვენ გვაქვს ის რეალობა, როდესაც იუსტიციის საბჭოში ადამიანებს სასამართლო სისტემა თავის ბოსტნად მიაჩნიათ.



***– ამ პროცესში ხომ ძალიან დიდი პოლიტიკური ზიანი მიიღო „ქართულმა ოცნებამ“, როგორ ფიქრობთ, რაში უღირთ?***

– ჩემთვის დღემდე რჩება ეს ამოცანად. როდესაც გუნდის წევრი ვიყავი, მაშინაც მქონდა ეს კითხვა და დღესაც მაქვს – რატომ?!

***– გუნდში არ სვამდით ამ კითხვას?***

– როგორ არა.

***– და რა პასუხს იღებდით?***

– მე ვეუბნებოდი, რომ ეს სერიოზულ პოლიტიკურ ზიანს გვაყენებს. დეტალებში რომ არ შევიდე, მე ჩემი პოზიციით უმცირესობაში აღმოვჩნდი. მართალია პარლამენტმა უნდა გაატაროს ის პოლიტიკა, რომელიც გამარჯვებულ ძალას აქვს, ხელისუფლებას, მაგრამ ჩვენი ხედვა არასდროს არ ყოფილა, რომ მურუსიძე და მისი სასამართლო გაგვეძლიერებინა. არც 2012 წელს და არც 2016 წელს, ამას არ დავპირებივართ ჩვენს ამომრჩეველს. ჩვენი ხედვა და მიზანი სამართლიანობის აღდგენა იყო და არა მურუსიძის უვადოდ დანიშვნა, მურუსიძე-ჩინჩალაძის სასამართლოს გაძლიერება. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რატომ გადავუხვიეთ ამ პრინციპებს. სწორედ ეს იწვევს ჩემში კითხვის ნიშნებს და ამიტომ მომიწია პარტიის დატოვება. ღირებულებითი განსხვავების წინაშე დავდექი და ამან მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება.

***– ბატონო ლევან, ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, ქობულიას განცხადებებმა თუ გაგიჩინათ კითხვები?***

– რა თქმა უნდა. არა მხოლოდ კითხვები გამიჩნდა, პრეტენზიები გამიჩნდა. საკმაოდ შევშფოთდი და დაფიქრდი. პირველ რიგში, გიორგი ქობულიას უნდა დავუფასოთ, ძალიან თამამად საუბრობს. ალბათ ერთადერთი მინისტრია ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში, ვინც ღიად ამბობს გადადგომის თუ მოხსნის თემაზე. ეს მართლაც არის დასაფასებელი. საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური უფლება, იცოდეს, რატომ უშვებენ, რა მიზეზით ხსნიან მინისტრებს?! მეორე, პარლამენტის ეკონომიკის კომიტეტის პასუხისმგებლობა დგება, რომლის წევრიც ვარ ჯერჯერობით.

***– რა ტიპის პასუხისმგებლობაზე საუბრობთ?***

– კომიტეტმა ქობულიას აუცილებლად უნდა მოუსმინოს. ქობულიას მოსმენა ღიად უნდა მოხდეს. მე მივმართე კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიას, რომ უზრუნველეყო გიორგი ქობულიას პარლამენტში მოსვლა და მოსმენა. მე როგორც მაქვს ინფორმაცია, ქობულია მზად არის პარლამენტში მოსასვლელად.

მესამე, ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება: გიორგი ქობულია თავისი საქმიანობის დასაწყისში ქვეყანაში ეკონომიკის ორნიშნა ზრდაზე საუბრობდა. დღეს, მოგეხსენებათ, 4,5%-იან ზრდა გვაქვს. ახლა, გადადგომის შემდეგ ის საუბრობს, ქვეყანას შეუძლია 9% –10-%-იანი ზრდა თუ არ იქნება გარკვეული ბარიერი. ეს რას ნიშნავს, ძალიან საინტერესოა. რა ბარიერზე საუბრობს ბატონი ქობულია?!

ჩვენ აუცილებელია ამ ადამიანს მოვუსმინოთ და გავიგოთ, რა ბარიერები არსებობს, რა ბარიერებზე საუბრობს ის. ეს ეხება ქვეყნის ეკონომიკას, რომელზეც არის ამ ქვეყნის მოქალაქეების სამუშაო ადგილები, მათი კეთილდღეობა დამოკიდებული. გაორმაგებული ეკონომიკური ზრდა თუ არის შესაძლებელი?! ხომ წარმოგიდგენიათ, რაზე ვსაუბრობთ. ჩემთვის წარმოუდგენელია ეს იყოს შესაძლებელი და ამას რაღაც ბარიერები უშლიდეს ხელს. ამიტომ, მე, როგორც პარლამენტის წევრი, ვალდებული ვარ, ეს ინფორმაცია მივიღო და გავარკვიო, რა ხდება. როდესაც ადამიანები მკითხავენ ამის შესახებ, მე ვალდებული ვარ, ეს ინფორმაცია მქონდეს, ამ მიზეზების შესახებ ვიცოდე. ამისთვის მე ყველაფერს გავაკეთებ, თქვენი გაზეთის მეშვეობითაც მოვუწოდებ რომან კაკულიას, რომ ასეთი შეხვედრა უზრუნველყოს. მეტიც, თუ ყოფილ მინისტრთან შეხვედრა კომიტეტის ფარგლებში არ მოხდება, მე, როგორც ერთი დეპუტატი, გარკვეულ ფორმატში მოვაწყობ საჯარო შეხვედრას პარლამენტში გიორგი ქობულიასთან და ვინც დაინტერესებული იქნება ამ ღია შეხვედრას დაესწრება.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღო გადაწყვეტილება ქობულიამ, რომ ღიად ისაუბროს? ექსპერტები ამბობენ, რომ ის არის დამოუკიდებელი, აქვს ფინანსები და არ ეშინია ივანიშვილის, ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– არ დავეთანხმებოდი ექსპერტებს. ადამიანის ფინანსურ მდგომარეობაზე არ არის ხოლმე მისი დამოუკიდებლობა დამოკიდებული. მე ვფიქრობ, ეს მაინც ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს ქობულიას პროფესიონალიზმზეც მიანიშნებს, ის წარმატებულია თავის დარგში. სხვათა შორის, ქობულია მინისტრობის დროსაც გამოირჩეოდა არა პოლიტიკის ბურუსში გახვეული და არა კონიუნქტურით ნაკარნახევი განცხადებებით. მაგალითად, პარლამენტში ის უხერხულ კითხვებსაც პირდაპირ პასუხობდა. ეს დასაფასებელი იყო. თუმცა, მე მასთან პრეტენზია მაქვს: თუ 9%-იანი ზრდა შესაძლებელი იყო და ამაში რაღაც ხელს უშლიდა, რატომ არ გამოვიდა და ამაზე ღიად რატომ არ ისაუბრა?! თუმცა, დღეს მაინც უნდა მოვისმინოთ ამაზე პასუხი, ამას ამბობს ყოფილი მინისტრი და არა გვერდითი ადამიანი. იქნებ ტყუილს ამბობს, იქნებ გაბრაზებულია და ამიტომ ამბობს, ეს უნდა გავარკვიოთ, ეს ჩვენი მოვალეობაა.

ზოგადად, თავისუფლება, დამოუკიდებლობა არის ის ღირებულება, რაც ნებისმიერ დარგში და სფეროში არის მნიშვნელოვანი. ჩვენ სწორედ ასეთი მეტი მინისტრი და მეტი საჯარო მოხელე გვჭირდება.

***– კვირიკაშვილის განთავისუფლებასა და ქობულიას გაშვებას შორის პარალელს თუ ხედავთ?***

– ყველაზე მთავარი საერთო არის ის, რომ ჩვენს ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირები, პრემიერები, მინისტრები ისე მიდიან და მოდიან თანამდებობებზე, რომ ამის შესახებ ამ ქვეყნის მოქალაქეებს არა აქვთ სათანადო ინფორმაცია. პირველ რიგში, ეს პოლიტიკური სისტემა შესაცვლელია. საზოგადოებას კითხვები არ უნდა რჩებოდეს, ერთი მხრივ – რა მოტივით დაინიშნა და მეორე მხრივ – რა მიზეზით მოიხსნა?!

კვირიკაშვილის შემთხვევაში მისი დანიშვნა პრემიერად თუ მინისტრად, პარტიის გენერალურ მდივნად არ იყო გასაკვირი, რადგან ის „ქართული ოცნების“ პოლიტიკური თანამებრძოლი და აქტიური ლიდერი იყო. თუმცა, წასვლამ ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა.

რაც შეეხება ქობულიას დანიშვნას, სიმართლე გითხრათ, კითხვები ახლდა. საიდან? რატომ? ახლა გაშვებამ მეტი კითხვა დატოვა. ამ კითხვებს პასუხების გაცემა სჭირდება.

# 9 მაისს ვაკის პარკში შეიძლება სისხლი დაიღვაროს

## ტრისტან წითელაშვილი: „იარაღი თან მექნება და საჭირო თუ გახდება, ვისვრი“

შორენა მარსაგიშვილი



9 მაისს დიდი ომი გველოდება, შეიძლება ისეთი ამბები ატყდეს, 1945 წლის 9 მაისი მონაგონი იყოს. საქართველოს მოქალაქეების ნაწილი ფაშიზმზე გამარჯვების აღნიშვნას აპირებს, მეორე ნაწილი კი პირობას დებს, რომ მათ ამის უფლებას არ მისცემს.

ფაშიზმის დამარცხებასთან დაკავშირებით გამართული საზეიმო ღონისძიებები არაერთხელ გამხდარა მუშტი-კრივის მიზეზი. მიმდინარე წელს სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ფაშიზმის დამარცხებით აღტკინებულები ჭავჭავაძის გამზირზე აპირებენ მსვლელობის მოწყობას.

ამ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას გეგმავს სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი. ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ მას არც ერთი 9 მაისობა არ გაუცდენია.

ზეიმამდე რამდენიმე დღით ადრე მან საგანგებოდ მიმართა შსს-ს და სუსს. მან ძალოვნებისგან იმ ადამიანების დაცვა მოითხოვა, რომლებიც 9 მაისს იზეიმებენ.

წითელაშვილი მარტო მათ იმედად ყოფნას არ აპირებს და საკუთარი უსაფრთხოების დაცვას საკუთარი ძალებითაც აპირებს.

– მინდა ყველამ იცოდეს, რომ 9 მაისს იარაღი თან მექნება. ყველას ვურჩევ, რომ თავი შეიკავონ ჩემთვის პროვოკაციის მოწყობისგან, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში წითელაშვილი.

ის იმედოვნებს, რომ იარაღის გამოყენება არ დასჭირდება.

– არავის ეგონოს, რომ სპეციალურად ამ დღისთვის ავიღებ ხელში იარაღს. მე სამხედრო ვარ, მაქვს იარაღის ტარების უფლება და სულ იარაღით დავდივარ. იმედი მაქვს, რომ მისი გამოყენება არ დამჭირდება.

იარაღი რომ თან მექნებოდა, ამაზე ხმამაღლა არც გავაკეთებდი განცხადებას, მაგრამ აშკარაა, რომ ჩემს წინააღმდეგ პროვოკაცია მზადდება, – ამბობს წითელაშვილი.

„ახალი თაობის“ კითხვაზე, რა შემთხვევაში გამოიყენებს ის იარაღს, ასე პასუხობს:

– არ ვარ მოძალადე და არ მიყვარს იარაღის ტრიალი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილის დაჯგუფებების წევრები მომვარდებიან, იარაღს აუცილებლად გამოვიყენებ. სროლით არავის არ ვესვრი, მაგრამ ჰაერში გავისვრი.

სამხედრო ექსპერტი იმ მიზეზსაც ასახელებს, თუ რატომ სდევნიან მას ნაციონალები.

– 9 მაისთან დაკავშირებული ღონისძიებები ვაკის პარკში სააკაშვილის პრეზიდენტობის დროსაც იმართებოდა, მაგრამ მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად ტარდებოდა.

მას შემდეგ, რაც მეც დავიწყე ამ დღის აღნიშვნა, ნაციონალები პროვოკაციებს აწყობენ და ეს წლებია, რაც გრძელდება. მათ ჩემ მიმართ არნახული აგრესია აქვთ, რადგანაც არაერთხელ ვამხილე ისინი და მათ მხილებას მომავალშიც გავაგრძელებ. ეს ხალხი ხშირად მესხმის თავს. ამის ატანას უკვე აღარ ვაპირებ. იცოდეს ყველამ, 9 მაისს იარაღი თან მექნება და საჭირო თუ გახდება, ვისვრი, – აცხადებს ყოფილი პოლიტპატიმარი.

# პატრიარქის ნათლული 777 ჩვილი გახდა



სამების საკათედრო ტაძარში ჩვილთა მორიგი, 58-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართა. წმინდა გიორგის დღესასწაულზე პატრიარქის ნათლული 777 ჩვილი გახდა.

„ქრისტე აღსდა! გილოცავთ გიორგობას – ჩემს ნათლულებს ვულოცავ ნათლისღებას, – ბრძანა პატრიარქმა.

– დღემდე მონათლული იყო 37.901 ბავშვი, დღეს მოინათლა 777 ბავშვი. ვცდილობთ ხოლმე, რომ ეს ნათლობა დაემთხვეს რომელიმე დღესასწაულს. დღეს წმინდა გიორგის დღესასწაულთან დაკავშირებით იყო ნათლობა და ღვთის კურთხევა და წყალობა, წმინდა გიორგის მადლი არ მოკლებოდეს ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა დეკანოზმა შალვა კეკელიამ.

პატრიარქის ნათლულები ჯვარდაწერილ ოჯახების მესამე და მომდევნო შვილები არიან. ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა 2008 წლის 19 იანვარს ჩატარდა. პატრიარქის ინიციატივის მიზანი საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

# ნიკა გვარამია: „ნინო ნიჟარაძე 26 მილიონ ლარს ითხოვს ჩემგან და რუსთავი 2-ის მეწილეებისგან“

## ნინო ნიჟარაძე არის რუსთავი 2-ის ყოფილი დირექტორის, აწ გარდაცვლილი გოგი გეგეშიძის მეუღლე

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით არხის გენერალურმა დირექტორმა გუშინ, 6 მაისის საღამოს, საგანგებო ბრიფინგი გამართა,

ნიკა გვარამიას თქმით, ხელისუფლებამ ტელეკომპანიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტალღა წამოიწყო.

– ეს ფაზა იქნება უკანასკნელი და გადამწყვეტი არა მხოლოდ რ2-სთვის და თავისუფალი სიტყვისთვის, არამედ ქვეყნისთვის. რუსულ ორიენტაციასა და დასავლურ ორიენტაციას შორის ბრძოლის ხაზი გადის რუსთავი 2-ზე და ეს უნდა გააცნობიერონ პროდასავლურმა პოლიტიკურმა ძალებმა, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან ისაუბრა ტელეკომპანიის 9%-ის მფლობელი მეწილის, ნინო ნიჟარაძის სარჩელზე.

– ნიჟარაძე ითხოვს კომპენსაციას დაგროვილი გადასახადებისგან, 2015 წელს გამქრალი 10 მილიონიდან, ასევე ითხოვს ჩემგან, რატომ გავზარდე უფასო რეკლამების ლიმიტი, რითაც, მისი თქმით, ზიანი მივაყენე კომპანიას და ასევე ითხოვს 1,6 მილიონს პირადად მისთვის, რადგან სხვა მეწილეებმა არ მისცეს წილის გაყიდვის უფლება. ჯამში ითხოვს 26 მილიონ ლარს ჩემგან და მეწილეებისგან, – აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

მისი აზრით, ეს დავა არის აბსურდული, სარჩელი სარჩელისთვის და დაყრდნობილია მარეგულირებელისა და საშემოსავლოს ინფორმაციებს.

– დავას იხილავს ქართულ სასამართლოში ბინძური მოსამართლე ქოჩიაშვილი, – დასძინა ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა, – მიზანი არის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა და იმ ადამიანის შეცვლა, ვინც ამ სარედაქციო პოლიტიკის გარანტია.

მისი თქმით, სარჩელში მისი ტელეკომპანიიდან ჩამოშორების მოთხოვნაც იყო, რომელიც ბოლო წუთებში ამოიღეს.

ნიკა გვარამია ამბობს, რომ სარჩელის მიზანი არის ტელეკომპანიის გაკოტრება, რაზეც მან შემოთავაზება თავის დროზე მიიღო, მაგრამ ამაზე უარი განაცხადა. გაკოტრების შემდეგ



ტელეკომპანიის შეძენა ბიძინა ივანიშვილს სურს.

ნიკა გვარამიას თქმით, ნინო ნიჟარაძე არის რ2-ის ყოფილი დირექტორის, გოგი გეგეშიძის მეუღლე.

– გოგი გეგეშიძე გარდაცვლილია და მან წილები მემკვიდრეობით მიიღო. ამ საქმის უკან დგას მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე კობა ბექაური, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

# გია ნოდია: „ვადამდელი არჩევნები კრიზისის აღიარება იქნება, რასაც ივანიშვილი არ დათანხმდება“

იაგო ნაცვლიშვილი

ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია ალაპარაკდა. მან თქვა, რომ მინისტრის პოსტი საკუთარი ნებით არ დაუტოვებია და ის გადააყენეს. მიზეზად კი „ქართულ ოცნებასთან“ აზრთა სხვადასხვაობა დაასახელა. მანვე თქვა, რომ მას გარკვეული ობიექტების გადაცემას სთხოვდნენ, რაზეც უარით უპასუხა და ამან მმართველ გუნდში არსებული აზრთა სხვადასხვაობა გაამძაფრა. აღნიშნულის შესახებ ექსმინისტრმა „რუსთავი 2“-ის ეთერში, ჯერ „შაბათის კურიერთან“, ხოლო შემდეგ „ფორბსის კვირასთან“ ისაუბრა.

რით შეიძლება აიხსნას ეს, არის თუ არა მმართველი გუნდის კრიზისის ერთ-ერთი ნიშანი, გაგრძელდება თუ არა კრიზისი და რამდენად აწყობს ბიძინა ივანიშვილს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა? – აღნიშნულ საკითხებზე პოლიტოლოგი **გია ნოდია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს:



***– ვხედავთ რა ვითარებაც არის ქართულ ოცნებაში. გამოჩნდა, რომ არა მხოლოდ ხელისუფლებაში, არამედ ეკონომიკურ გუნდშიც არის, როცა ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ალაპარაკდა. კონკრეტულ დეტალებზე არ უსაუბრია, მაგრამ გარკვეული ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. თქვენ რა შთაბეჭდილება გრჩებათ, რა მოხდა გუნდში?***

– პირველ რიგში, შეუთავსებლობა მოხდა. არ ვიცით, საიდან „მონახეს“ ქობულია, რადგან ის საქართველოში არ ცხოვრობდა. ძალიან მოკლე კომუნიკაცია ჰქონდათ მასთან, ვიდრე მას მინისტრად დანიშნავდნენ. როცა დანიშნეს, როგორც თვითონ ამბობს, აღმოჩნდა, რომ სხვა შეხედულებები ჰქონია და შეუთავსებადი ყოფილა ბიძინა ივანიშვილის გუნდთან. ეს ცხადია, რომ ასე მოხდა. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ პრობლემაა მათი ის, რომ არ არსებობს პოლიტიკური გუნდი. არსებობს მარტო ბიძინა ივანიშვილის პირად გადაწყვეტილებებზე ან მის გარშემო რამდენიმე ადამიანის გადაწყვეტილებებზე აგებული საკადრო პოლიტიკა და მას უკან არ უდგას რაიმე კონცეფცია. ასეთ შემთხვევაში რაღაცები შეიძლება ადვილად მოხდეს.

***– ეს დაპირისპირება, თქვენი აზრით, მხოლოდ განსხვავებულმა ხედვებმა გამოიწვია თუ კიდევ უფრო ღრმა პრობლემასთან გვაქვს საქმე?***

– ხედვები თავისთავად ღრმა საფუძველია, მაგრამ ამის გარდა თუ რაიმე პირადი უკმაყოფილებაც შეიქმნა, ანუ რაღაცნაირად ქობულიამ თქვა ან რაღაც ნაბიჯები გადადგა, რომელიც პირადად ბიძინა ივანიშვილს არ ესიამოვნა, ეს სავსებით შესაძლებელია მომხდარიყო. მაგრამ ამის შესახებ შეიძლება ჩვენ ვერ გავიგოთ.

***– ამის შესახებაც გაკეთდა გარკვეული მინიშნება და თქვა, რომ ვილაცებისთვის ითხოვდნენ რაღაც კონკრეტული ობიექტების გადაცემას. ეს არ გიქმნით ამ განცდას?***

– რა თქმა უნდა. ალბათ რაღაც კონკრეტულ საკითხებში არ აღმოჩნდა საკმარისად კომფორტული მინისტრი ბიძინა ივანიშვილისთვის. ეს არის ძალიან ბუნებრივი ახსნა ამ კონფლიქტისა. შემდეგ არის ის საჯარო გამონათქვამები, რომელიც ჰქონდა ყოფილ მინისტრს.

***– ის ხედვა რამდენად სწორია, როდესაც ნიშნავენ მინისტრს და სექტემბრამდე აძლევენ დროს მოაგვაროს წინა სამსახურში საქმეები და შემდეგ შეუდგეს სრული დატვირთვით მინისტრის საქმიანობას?***

– ეს პირად შეთანხმებაზეა დამოკიდებული. თუ ძალიან გიღირს ადამიანი. გასაგებია, რომ მას წინა სამსახურში რაღაც ვალდებულებები აქვს. აქედან გამომდინარე შესაძლოა, რომ რაღაც დრო მისცე. ეს დრო ვერ იქნება ბევრი. სჯობს, რომ თვითონ დანიშვნა გადადო ცოტა ხნით და როდესაც დანიშნავ, მერე სრულფასოვნად მუშაობდეს ის მინისტრი. თორემ, თავისთავად კომიკური გახდა ვითარებები, როდესაც მინისტრი დანიშნეს, ის პარლამენტმა დაამტკიცა და მერე ის მაშინვე სადღაც შვებულებაში წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, კომიკურია.

***– მთლიანად „ქართული ოცნების“ მარცხისა და კრიზისის ერთ-ერთ ნიშანზე მიანიშნებს ეს ფაქტიც?***

– უკვე იმხელა კრიზისია „ქართულ ოცნებაში“, რომ კრიზისი გახდა ნორმა. აქ არ არის ის, რომ რაღაც დაუშავდა „ქართულ ოცნებას“, როგორც სახელისუფლებო გუნდს. უბრალოდ, ეს არის ერთ-ერთი ინდიკატორი იმისა, რომ ეს მმართველობა საკმაოდ დისფუნქციურია.

***– გასაგებია, რომ ქობულიამ საკმარისი არ თქვა, მაგრამ ეს არის რაღაც დასკვნების გასაკეთებლად საკმარისი თუ კიდევ უფრო მეტი უნდა იცოდეს საზოგადოებამ?***

– საზოგადოებას და ჟურნალისტებს უფრო მეტი უნდათ, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ჯერ ასე ცოტა ხნით დანიშნეს მინისტრი, მერე გაუშვეს, მერე ამ მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ თავისით კი არ წავიდა, არამედ პრაქტიკულად სამსახურიდან მოხსნეს. ეს მიანიშნებს იმ უკმაყოფილებაზე, რაც მმართველი გუნდის შიგნით არის. თავისთავად ეს შეიძლება ყველგან მოხდეს ზოგადად, მაგრამ ისეთ გუნდში, სადაც პოლიტიკურ თანამდებობებზე ისეთ ადამიანებს ნიშნავენ, სადაც ელემენტარულად არ იცნობენ, ასეთი რამე არ უნდა მოხდეს. ელემენტარულად საკადრო პოლიტიკის პრინციპები აბსოლუტური ნაკლია.

მანამდეც ვიცოდით ეს, მაგრამ ეს კიდევ ერთი ინდიკატორი აღმოჩნდა ამის. მხედველობაში, რა თქმა უნდა, ქობულიას შემთხვევა მაქვს.

***– ისე თუ გახსენდებათ, რომ ბოლო პერიოდში რომელიმე თანამდებობის პირი წასულიყო პოსტიდან და თუნდაც ამ დოზით ეთქვა რამე?***

– უცბად ასეთი რამე ნამდვილად არ მახსენდება. თუმცა შეიძლება იყო.

***– რა მოლოდინი გაქვთ? გაგრძელდება თუ არა ეს კრიზისი „ქართული ოცნების“ ირგვლივ, რაც დღეს გვაქვს სახეზე?***

– არა მგონია, რომ ამ მხრივ რამე შეიცვალოს. იმიტომ, რომ არც უნარი ჩანს და არც მაინცდამაინც იმის სურვილს ვხედავ, რომ პრინციპულად რამე შეცვალონ მმართველობის სტილში. თუკი აქამდე კრიზისები და სკანდალები ახლდა „ქართული ოცნების“ მმართველობის სტილს და ეს გახშირდა, ბუნებრივია, მოლოდინია, რომ კიდევ რაღაც სიურპრიზები გველოდება.

***– ხმები გამოვიდა კულუარებიდან, ბიძინა ივანიშვილი დაარწმუნეს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. ეს თუ უშველის?***

– არა მგონია. მე არ მესმის, რატომ უნდა იყოს მის ინტერესებში ვადამდელი არჩევნები. გასაგებია, რომ მის საპარლამენტო გუნდში არის დეპუტატების რაღაც ოდენობა, რომელიც არ ემორჩილება ივანიშვილს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც უკავია მართვის სადავეები და მაინც გააქვს თავისი კანონმდებლობა. ანუ, ის, რაც მას სურს.

ვადამდელი არჩევნები ნიშნავს კრიზისის აღიარებას. არა მგონია, რომ ივანიშვილს ეს უნდოდეს.

***– ასე გგონიათ, რომ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში არ შედის კრიზისის აღიარება და ის ამას არ გააკეთებს?***

– არა. მას არასდროს უთქვამს, რომ კრიზისია. მის ინტერესებში არ არის, რომ ეს თქვას. ვადამდელი არჩევნები ავტომატურად ამის აღიარებაა და ამიტომ ის ამას არ გააკეთებს.

# ივანიშვილი გომელაურს აღარ ენდობა?

## რატომ ნიშნავენ სუსის უფროსის მოადგილედ შენგელი ფიცხელაურს

შორენა მარსაგიშვილი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეფობის საქმეები აშკარად კარგად ვერ მიდის. უკვე რამდენიმე თვეა, რაც მედიაში აქტიურად საუბრობენ სუსის უფროსის შეცვლაზეც. რამდენჯერმე დასახელდა ვახტანგ გომელაურის სავარაუდო შემცვლელის ვინაობაც.

თანამდებობის პირები ხშირად იცვლებიან და წესით, არც გომელაურის შეცვლაში უნდა იყოს რამე უცნაური, მაგრამ მასთან დაკავშირებით არის ერთი მაგრამ – ვახტანგ გომელაური ივანიშვილის დაცვის უფროსი იყო და მთავარი მეოცნებე მას სრულ ნდობას უცხადებდა.

და რაკი „ოცნების“ კულუარებში მის შეცვლაზე აქტიურად ჟღურტულებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილი გომელაურს აღარ ენდობა.

სავარაუდოდ, ამასთან არის დაკავშირებული ის წმენდა, რომლის ჩატარებასაც გიორგი გახარია შეუდგა. შს მინისტრობის პარალელურად, ამ კაცმა უსაფრთხოების საბჭოს მდივნის პოსტიც შესთავაზა.

„ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ დღეს ივანიშვილი თავის გუნდში მხოლოდ გახარიას ენდობა, მაგრამ უსაზღვრო ნდობასაც გადამოწმება სჭირდება. ალბათ ამიტომაც გადაწყვიტა მთავარმა მეოცნებემ, სუსში მოადგილედ თავისი ნდობით აღჭურვილი პირი მიავლინოს.

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ინფორმაციით, სუსის უფროსის მოადგილედ შევარდნაძის დროის მაღალჩინოსანი შენგელი ფიცხელაური ინიშნება.

აქ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს ადამიანი ივანიშვილის ნათესავია. გამოდის, რომ ივანიშვილი გახარიას და გომელაურის გაკონტროლებას თავისი ახლობლის მეშვეობით აპირებს.

საინტერესოა ისიც, რომ ამ მომენტისთვის შენგელი ფიცხელაური გიორგი გახარიას მრჩეველია.

რუსთავი 2-თან საუბარში ფიცხელაური ადასტურებს, რომ მთავარი მეოცნების ოჯახის ახლობელია. მისი ვაჟი, ნიკა ფიცხელაური, ბერა ივანიშვილის ქვისლია.

ფიცხელაური არ უარყოფს, რომ პირადად იცნობს ბიძინა ივანიშვილს.

შევარდნაძის მაღალჩინოსანი აცხადებს, რომ სუს-ის უფროსის მოადგილედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით არსებულ წინადადებას განიხილავს. ამასთან, ცოცხალი თავით არ აკონკრეტებს, ვისგან მიიღო შეთავაზება აღნიშნულ თანამდებობასთან დაკავშირებით.

– როცა მიხილავთ, ძალიან გთხოვთ, არ არის ჯერ დაჩქარების დრო, ჯერ კიდევ მეც გადასაწყვეტი მაქვს. ამჯერად ვარ, იცით თქვენ, შს მინისტრის მრჩეველი და დანარჩენ ინფორმაციას





არაფერს არ დაგიმალავთ. გულწრფელად მოგახსენებთ, – ამბობს ფიცხელაური.

შენგელი ფიცხელაური აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე მას გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს.

– ახლა ვარ უნივერსიტეტის დეკანი, იურიდიული ფაკულტეტის, მინისტრის მრჩეველი და ისე, რომ მე ძალიან გულით მინდოდეს და აბა, ჩქარა დამნიშნეთ, ასე არ არის, ვფიქრობ მეც, რა თქმა უნდა, – აღნიშნავს რუსთავი 2-თან საუბარში ფიცხელაური.

# ანზორ აბრალავა: „საქართველოს ხელისუფლებას კონცეფცია არ გააჩნია“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას.**

***– გრძელდება მითქმა-მოთქმა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. მომწიფდა რიგგარეშე არჩევნები?***

– საზოგადოებაში ისეთი ნიჰილიზმი და გულგრილობაა, რომ ხალხს სულ არ აინტერესებს, იქნება თუ არა ვადამდელი არჩევნები. ხშირად ვადამდელი არჩევნები ხდება დაძაბული მდგომარეობის საშუალება.

***– და მმართველი პარტიის ძალაუფლებაში ყოფნის ხერხი. ჩვენს შემთხვევაში რა ხდება?***

– ჩემი აზრით, რიგგარეშე არჩევნებს ექნებოდა აზრი მაშინ, თუ ამ გზით მოხდებოდა წმენდა პოლიტიკურ სისტემაში. 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა ძალა, რომელსაც დღემდე დღის წესრიგს სხვები კარნახობენ. ეს სხვები წარმოადგენენ ოდიოზურ დაჯგუფებას, რომელმაც ხალხს სული ამოხადა. საქართველოში ძალიან უცნაური დიქტატურა დამყარდა. დიქტატს ახორციელებს ტელეკომპანია რუსთავი 2. მასთან მიბმულია ოდიოზური პოლიტიკური დაჯგუფება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად. ეს ხალხი ახდენს ზეწოლას ხელისუფლებაზე და აღებინებს გადაწყვეტილებებს.

***– ეს ნაცმოძრაობის მიმართ დამოკიდებულებაა. „ქართული ოცნება“ თვითონ არაფერს სცოდავს?***

– მმართველი პარტია თუ ძლიერი არ არის, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. ქვეყანაა ჩავარდნილი მძიმე დღეში. პრობლემა ბევრია, მაგრამ უმთავრესი ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცება უნდა იყოს. ქვეყნის მტერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ნაციონალები დადიან ევროპულ ორგანიზაციებში, ნატოს ოფისში და საკუთარ ქვეყანაზე ათასგვარ სისაძაგლესა და ტყუილს ყბედობენ. თუ წარმატება დაინახეს, იმას ებრძვიან. ისინი ძირს უთხრიან სახელმწიფოებრიობას.

***– მმართველი პარტია რას აკეთებს ქვეყნის გაძლიერებისთვის?***

– რაც ერია, ის ბერია. ხელისუფლების წარმომადგენლებს კვალიფიკაცია აკლიათ. ისინი ბოლომდე თვითდაჯერებულები არ არიან. საქართველო უძველესი სახელმწიფოა, მაგრამ დღეს პროცესები ჩვენს ნება-სურვილზე არაა აწყობილი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად საჭირო ვიქნებით.

***– კავკასიის რეგიონი ყველასთვის საჭიროა.***

– მთავარია, ჩვენ როგორ ვხვდებით ამას. საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნიათ არანაირი კონცეფცია. ისრაელმა თავისი კონცეფციის ძირითადი მიმართულებები 26 საუკუნის წინ ჩამოაყალიბა. ჩვენ რას ვაკეთებთ? ბევრგან მეფობს დილეტანტიზმი, უცოდინარობა და არასახელმწიფოებრივი აზროვნება, ანგარება.



***– საქართველოს დღევანდელ რეალობაში ანგარიშს არ უწევენ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გარედან ინსპირირებული მოულოდნელი პროცესები არ მოხდება. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გეოპოლიტიკური ფაქტორების გამო დაუგეგმავი პროცესები მიმდინარეობს.***

– ამიტომაც გვინდა პროგრამები, კონცეფცია და პროგნოზები. სახელმწიფოს განვითარებაზე სპეციალისტები უნდა ფიქრობდნენ. ისინი უნდა აანალიზებდნენ სიტუაციურ სცენარებს. მაგალითად, იმაზე, რა მოხდება თქვენ მიერ ნახსენებ შემთხვევაში. მსოფლიოში წესრიგი იცვლება. ქვეყნების შიგნითაც ძვრებია. აშშ-ში ტრამპმა დიამეტრალურად შეცვალა სიტუაცია. ამას ამერიკელები გრძნობენ. აღარაა ისეთი მდგომარეობა, რომ დემოკრატიის კამუფლაჟით, წნეხით აკეთებინებენ ხალხს ყველაფერს. სამაგიეროდ, ჩვენთანაა ერთი ჯგუფის დიქტატურა.

***– არ გაქვთ მოლოდინი, რომ ახალი ძალები მოვლენ საქართველოს ხელისუფლებაში?***

– ასეთი სურვილი ბევრ ადამიანს აქვს. საზოგადოებაში ამის მოლოდინი, ნიჰილიზმის მიუხედავად, არსებობს. დღევანდელ პოლიტიკოსებს იდეებიც არა აქვთ. ზოგჯერ იდეას ისეთი გაახმიანებს, რომ ხალხს აფრთხობს. მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ აჟღერებს იდეებს. ღირსეულ ძალას მხარდაჭერა სჭირდება.

ქართველი ბიზნესმენები ეროვნულ და პატრიოტულ ძალებს ახლოს არ ეკარებიან. მათი წინამორბედები მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცეს დასაწყისში ბევრ პატრიოტულ საქმეს აკეთებდნენ და ეროვნულ მოღვაწეებთან მეგობრობდნენ. ასეთები იყვნენ სარაჯიშვილი, ხოშტარია, ზუბალაშვილები, არამიანცი, მანთაშოვი. ილიას მოთხრობას სათაურად „ოთარაანთ ქვრივი“ სარაჯიშვილმა ურჩია.

ბიზნესის თანადგომის გარეშე ეროვნულ, ჯანსაღ, კონცეფციების მქონე ძალებს გაუჭირდებათ. ბიძინა ივანიშვილი რომ არა, ვერც „ქართული ოცნება“ და მისი კოალიცია მოვიდოდა ხელისუფლებაში.

# „ბახტაძეს ძალიან გაუხარდება თუ მოხსნიან“

## გიორგი ახვლედიანი: „მოწმენდილ ცაზე რომ პანკისს მოიწყობ და ყველაფერს თავზე დაიმხობ, რაღაზე ვილაპარაკო?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **გიორგი ახვლედიანი** პასუხობს.



***– ბატონო გიორგი, დააწინაურეს გახარია, შეიძლება შეცვალონ პრემიერი. ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ კეთდება?***

– გახარიასთან დაკავშირებით ეს უკვე ახალი არ არის, კარგა ხანია მიდის გახარიას პოზიციების გამყარება ივანიშვილის მხრიდან. გახარია ყველანაირად მზადდება საპრემიეროდ. ეს უკვე ძალიან მარტივად გამოსაცნობი, ჩამოყალიბებული ტაქტიკაა.

***– შეცვლიან ბახტაძეს არჩევნებამდე?***

– რა თქმა უნდა! ეს გარდაუვალი ამბავია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბახტაძე ამ ამბით იქნება ძალიან გახარებული და ძალიან ბედნიერი.

***– რატომ, სასჯელია მისთვის ეს თანამდებობა?***

– ეს ის შემთხვევაა, როდესაც პრემიერი არა თუ არ შეეწინააღმდეგება ამ იდეას, კვირიკაშვილის ვარიანტს თუ გავიხსენებთ, არამედ პირიქით, იქნება ძალიან ბედნიერი.

ბახტაძე ძალიან კარგად ხვდება, რომ გაურკვეველ ადგილას არის მოხვედრილი და მაგარ შარშია. სწორედ ამიტომ, ასეთი სიტუაციიდან გათავისუფლება ბახტაძისათვის ძალიან სერიოზული ზეიმის საგანი უნდა იყოს.

***– „ოცნებაში“ დიდი ამბებია 2020 წლისთვის საპარლამენტო სიის შედგენაზე, ყველას თავისი პრეტენზია აქვს, კალაძე, ღარიბაშვილი და გახარია წამყვან სიაზე სერიოზულად დავობენ. რას იტყვით თქვენ?***

– სიის დაკომპლექტება „ქართული ოცნების“ რღვევას ძალიან სერიოზულად შეუწყობს ხელს. წინასაარჩევნოდ გარკვეული გადაჯგუფებები ყოველთვის იწყება. „ქართული ოცნება“ ამ მიმართულებით განსაკუთრებით დაზარალდება, იმიტომ, რომ ჯერ საარჩევნო სიის დაკომპლექტება არ დაწყებულა და როგორი მიგრაციაა პარტიიდან.

***– ანუ შიდა გარჩევებმა და დაპირისპირებებმა შეუქმნა „ოცნებას“ სერიოზული პრობლემა?***

– რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ყველაფრის სათავე „ქართულ ოცნებაში“ არის კონსერვატიული და ლიბერალური გუნდების დაპირისპირება. ყველაფრის სათავე არის ის, რაც დაიწყო „ქართულ ოცნებაში“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც კონსერვატიულად განწყობილ იმ გუნდს, რომელმაც მოიყვანა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, რომელმაც იბრძოლა ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, უცებ პირდაპირ უთხრეს, რომ თქვენ უნდა ჩაიჩოჩოთ, დაიმალოთ, აღარ უნდა გამოჩნდეთ, იმიტომ, რომ სასირცხვილოები ხართ, თქვენ კონსერვატიულ რაღაცებს იძახით, ლიბერალიზმი არ მოგწონთ, არა ხართ დასავლეთზე ორიენტირებული, ამიტომ თქვენ აღარ გვჭირდებით.

და მოიყვანეს ლიბერალური გუნდი, რომელიც ყოფილი ნაციონალებისა და ბოკერიას აღსაზრდელებიდან იყო შემდგარი, ასევე არასამთავრობო სექტორიდან, რომლებიც უცებ გაჩნდნენ „ქართულ ოცნებაში“, რომლებსაც არც ბრძოლა არ გამოუვლიათ და არც მრავალათასიან მიტინგებზე მდგარან.

ცხადია, ამან გამოიწვია სერიოზული პროტესტი კონსერვატიულ ნაწილში და მოხდა ის, რაც მოხდა, დაიწყო რღვევის პროცესი.

***– ახლა რა ეტაპზე არიან?***

– ახლა ჰყავთ რამდენიმე გამოკვეთილი ფიგურა, რამდენიმე ლიდერი და ყველა თავისკენ ექაჩება საბანს. აქეთ ღარიბაშვილი შემობრუნდა და ის ცდილობს სიტუაციის დალაგებას, იქით გახარია და მისი ამბიციები, რომელიც ძალიან სერიოზულ პრეტენზიებსაც წამოაყენებს და გარკვეული მოთხოვნებიც ექნება, რომ თავად მართოს ხელისუფლება. ამისთვის მას პარლამენტში საკუთარი გუნდი დასჭირდება. იქ ტრადიციულად კალაძის ინტერესები, რომელიც ლობირებს ამ ლიბერალურ გუნდს ხელისუფლებაში.

დღეს „ქართული ოცნება“ საერთოდაც აღარ არსებობს, აღარც საზოგადოებას აქვს ეს განცდა, რომ „ოცნება“ მართავს ხელისუფლებას. აგროვებენ ამდენ ნეგატივს და ამხელა ნეგატივით აპირებენ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას. გამობმული აქვთ ფეხებზე უზარმაზარი გირები და აპირებენ, ასე გადახტნენ წინასაარჩევნო მორევში. არ ვიცი, რამდენად მოახერხებენ ამ მორევის გადაცურვას.

***– რისი იმედი აქვთ?***

– ასეთი რამ არც მინახავს და ვერც წარმომედგინა ხელისუფლება, რომელიც ასეთი ტემპებით მოახერხებდა საკუთარი თავის დაზარალებას.

„ქართული ოცნება“ აშკარად განსხვავებულ მდგომარეობაშია თუნდაც წინა ხელისუფლებასთან შედარებით. ნაციონალურმა მოძრაობამ, ხელისუფლებაში ყოფნის სამი წლის თავზე, მოახერხა, რომ 100 ათას კაციანი მიტინგები ედგა ქუჩაში. 7 ნოემბრიდან დაწყებული და დამთავრებული ბოლომდე. მთელი საქართველო უზარმაზარი პროტესტის პირობებში იყო. სწორედ ამან დაამხო წინა ხელისუფლება.

***– ამ ხელისუფლებასთან რა სიტუაცია გვაქვს?***

– „ქართული ოცნება“ ძალიან განსხვავებულ მდგომარეობაშია იმ თვალსაზრისით, რომ აგერ მეშვიდე წელია ხელისუფლებაში არიან და ისეთი მასშტაბური პროტესტი საქართველოში აღარ გვინახავს. თუ ერთ-ორდღიან აქციებს არ ჩავთვლით სარალიძის და მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით.

ხელისუფლებას გარე და ოპოზიციიდან წამოსული ზეწოლის ფაქტორები ვერ აზარალებს. ნაცმოძრაობა ჰყავს შენარჩუნებული ოპოზიციაში და ვერა და ვერ აგორდა ასეთი მოძრაობა, რადგან ნაცებთან დადგომის სურვილი არავის აქვს.

სამაგიეროდ, „ქართულმა ოცნებამ“, ოპოზიციის დახმარების გარეშე, თვითონ მოახერხა და საკუთარ თავს დამართა ისეთი რამ, რამაც მისი მდგომარეობა კატასტროფის წინაშე დააყენა. რისი იმედი აქვს „ქართულ ოცნებას“, ჩემთვის ეს ამოუხსნელი ამოცანაა იმ პირობებში, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ნეგატივს აგროვებენ.

***– ამ ფონზე რას აკეთებს ოპოზიცია? საუბარია გაერთიანებებზე, ხელმოწერების შეგროვებაზე, მაგრამ ჯერ არაფერი ხდება ოპოზიციურ ფლანგზე.***

– ამ ფონზე ოპოზიცია ვერაფერს აკეთებს. მთელი უბედურება ოპოზიციური ერთობის კონტექსტში არის ის, რომ არაფერი არ გამოსდით. სერიოზული პოლიტიკური აქტივობის წარმოჩენა, სამწუხაროდ, ვერ ხდება.

***– ვადამდელ არჩევნებზე საუბრობენ.***

– ვადამდელი არჩევნები ძალიან ისეთი თემაა, ცოტა უცნაური პროცესია. ყოველთვის, ტრადიციულად, ვადამდელი არჩევნები არის ოპოზიციის ინტერესში, რომ აიძულოს ხელისუფლება და დაანიშნინოს ვადამდელი არჩევნები.

***– ახლა პირიქით არის, ხელისუფლებას უფრო სჭირდება, ვიდრე ოპოზიციას?***

– დიახ, ასეა. დღეს ოპოზიციას არ აწყობს ვადამდელი არჩევნები, რადგან სულ მცირე, საარჩევნო სისტემაა შესაცვლელი. დაქსაქსულობა და პოლიტიკური მოუმზადებლობაც სახეზეა. ხელისუფლებას კი აწყობს, რადგან იმდენ ნეგატივს აგროვებენ, შეცდომას შეცდომაზე უშვებენ, ფიქრობენ, რომ ამის დაგროვებას მაინც შეამცირებენ.

საკუთარი თავის დაზარალებასაც ხომ ნიჭი უნდა, ამ მიმართულებით ხელისუფლებას ბადალი არა ჰყავს. მოწმენდილ ცაზე რომ პანკისს მოიწყობ და ყველაფერს თავზე დაიმხობ, რაღაზე ვილაპარაკო?!

ვადამდელ არჩევნებს ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რადგან ეს ხელისუფლების ინტერესში ნამდვილად არის და ხელისუფლებაში ცდილობენ, ერთდროულად რამდენიმე კურდღელი დაიჭირონ.

# საქართველოს მოსახლეობა რუმინეთის შემდეგ ყველაზე ღარიბია ევროპაში



2017 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 5% დღეში 1.90 დოლარზე ნაკლები თანხით ცხოვრობს – ინფორმაციას „მსოფლიო ბანკი“ ავრცელებს.

ამ მონაცემით საქართველოზე ცუდ მდგომარეობაში ევროპაში მხოლოდ რუმინეთია, სადაც იგივე მაჩვენებელი 5.7%-ია.

აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, უკრაინაში, რომელიც ერთ მოსახლეზე მშპ-ს საშუალო მაჩვენებლით საქართველოზე ღარიბია, სიღარიბის ზემოხსენებული მაჩვენებელი მხოლოდ 0.1%-ია. უახლოეს წარსულში, სიღარიბის ასეთი მაჩვენებელი საქართველოში 2014 წელს დაფიქსირდა. 2015-2016 წლებში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა და საზოგადოების მხოლოდ 3.8 – 3.9% შედიოდა ამ ფენაში (რომელიც დღეში 1.90 დოლარზე ნაკლები თანხით ცხოვრობს).

# ბანკებმა 3 თვეში მოსახლეობისგან ჯარიმებით 23,3 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს




კომერციულმა ბანკებმა 2019 წლის 3 თვის განმავლობაში საურავებიდან და კლიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 23.376.969 ლარის შემოსავალი მიიღეს (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 18.038.840 ლარი).

როგორც კომერციული ბანკების ანგარიშგებაში ვკითხულობთ, ჯარიმებიდან ყველაზე მეტი შემოსავალი „თიბისი ბანკმა“ მიიღო – 7.331.099 ლარი. მეორე ადგილზეა „საქართველოს ბანკი“ – 4.525.409 ლარი.

მესამე ადგილზეა „კრედო“ – მან 2019 წლის პირველ კვარტალში საურავებიდან და კლიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 3.364.527 ლარის შემოსავალი მიიღო. მეოთხე ადგილზეა – „ბანკი ქართუ“ – 2.931.708 ლარი, ტოპ-ხუთეულშია „ლიბერთი ბანკი“ – 2.257.744 ლარის შემოსავლით.

Bpn

# საქართველოში ელექტროენერგიის პიკური მოთხოვნა ზამთრიდან ზაფხულზე გადავა



საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება ზაფხულის პერიოდში (აპრილი-სექტემბერი) უფრო მატულობს, ვიდრე ზამთრის პერიოდში (ოქტომბერ-მარტი) და 2024 წლიდან საქართველო, სავარაუდოდ, ზაფხულის პიკის ქვეყანა გახდება. ამის შესახებ სემეკ-ის 2018 წლის ანგარიშშია საუბარი. პროგნოზი 2006-2018 წლების ტენდენციას ეყრდნობა.

სემეკ-ში აღნიშნავენ, რომ საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდება და მოხმარება ხასიათდება სეზონურობით – ელექტროენერგიის მოხმარება ზამთრის პერიოდში უფრო მაღალია, ვიდრე ზაფხულის პერიოდში, ხოლო ელექტროენერგიის მიწოდება სეზონურობის საპირისპირო ტენდენციით ხასიათდება.

– სიტუაცია 2024 წლიდან, სავარაუდოდ, შეიცვლება და საქართველო ზაფხულის პიკის ქვეყანა გახდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის იმპორტის წილის შემცირება, გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერგიის პიკური მოთხოვნა ზაფხულის პერიოდში გადმოინაცვლებს, როდესაც არსებული ადგილობრივი რესურსების გამოყენებით შესაძლებელი იქნება მისი დაკმაყოფილება. მეორე მხრივ, გენერაციის ახალი ობიექტების ქვეყნის ენერგოსისტემაში გაშვებით შესაძლებელი იქნება ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იმპორტირებული ელექტროენერგიის წილის შემცირება, – აღნიშნულია ანგარიშში.

**1tv.ge**

# ერთი მიკროსაფინანსო კოტრდება, ერთმა კი საქმიანობა შეიცვალა




ეროვნული ბანკი დაეთანხმა ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნარობის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანის მოთხოვნას.

კერძოდ, საუბარია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რივალკრედიტზე", რომელსაც სებ-მა რეგისტრაცია გასული წლის ნოემბერში გაუუქმა.

როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის პაპუნა ლეჟავას განკარგულებაშია აღნიშნული, სებ-ი ეთანხმება „რივალკრედიტის" ლიკვიდატორის 2019 წლის 16 აპრილის განცხადებას, რომ ორგანიზაციის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება სასამართლოში შეიტანოს.

– აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე, – აღნიშნულია განკარგულებაში.

ამასთან, სებ-ის ვიცე-პრეზიდენტის კიდევ ერთი განკარგულების თანახმად, წყდება შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ემ ბი ეს"-ის ლიკვიდაციის პროცესი. ამასთან, ეროვნული ბანკი დაეთანხმა მისი საქმიანობის საგნის ცვლილებასა და გარდაქმნას.

– მიეცეს თანხმობა შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ემ ბი ეს"-ს საქმიანობის საგნის ცვლილებასა და ისეთ მეწარმე-სუბიექტად გარდაქმნაზე, რომელიც არ ახორციელებს მიკროსაფინანსო საქმიანობას; ორგანიზაცია „ემ ბი ეს"-ში შეწყდეს ლიკვიდაციის პროცესი და ლიკვიდატორის თანამდებობიდან გათავისუფლდეს მამუკა ვარდიაშვილი. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. დოკუმენტი მხარისათვის მისი გაცნობისთანავე ამოქმედდეს, – ნათქვამია პაპუნა ლეჟავას 24 აპრილის განკარგულებაში.

**BPN.GE**

# საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებისთვის წელს 15.5 მილიონი ლარი დაიხარჯება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებისთვის 2019 წელს 15.5 მილიონი ლარი დაიხარჯება. როგორც ქარსელაძემ ჟურნალისტებს გაერო-ს საგზაო უსაფრთხოების მე-5 გლობალური კვირეულის გახსნის ღონისძიების შემდეგ განუცხადა, თანხების გაზრდა წლის ბოლომდე კიდევ იგეგმება.




– მნიშვნელოვანი კომპონენტი საგზაო უსაფრთხოების არის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საგზაო უსაფრთხოების მონიშვნების და სხვა ასპექტების რეგულირება. ამ მიმართულებით ნაყოფიერი 2018 წელი გვქონდა. ყველა საერთაშორისო გზაზე მოხდა ინსპექტირება, რომლის შედეგადაც დაწყებული ღონისძიებების ფარგლებში 7.5 მილიონი ლარი მარტო 2018 წელს დაიხარჯა. უპრეცედენტოა 2019 წელი, სახელმწიფო ბიუჯეტში პირველად 9 მილიონი ლარის გამოყოფა მოხდა კონკრეტულად საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებისთვის, რომლის ფარგლებშიც უკვე სატენდერო პროცედურებია დაწყებული სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში 70 კმ ბაგირების მოსაწყობად. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ნაწილი საგზაო უსაფრთხოების, მაგრამ ამავდროულად ყველაზე ქმედითი, რომელიც ნამდვილად იცავს მანქანებს კონკრეტული ავტოსაგზაო შემთხვევების დროს გზიდან გადავარდნისაგან. მთლიანობაში, 2019 წელს 15.5 მილიონი ლარი არის გამოყოფილი, რაშიც შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, როგორც მოგახსენეთ და ასევე მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გამოყოფილი თანხები. თუმცა ვფიქრობთ, წლის ბოლომდე ეს თანხებიც გაიზრდება, – განაცხადა ქარსელაძემ.

მისივე თქმით, საგზაო დეპარტამენტს შემუშავებული აქვს ტექნიკური დავალება და ამჟამად ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რათა მათი დახმარებით მოხდეს ახალი საგზაო კანონის და ახალი საგზაო სტანდარტისა და საგზაო უსაფრთხოების სტანდარტის შექმნა.

ასევე ქარსელაძის თქმით, მზადდება ტექნიკური დავალება. საგზაო განათების ნაწილში პროექტების შესყიდვა მოხდება, მათ შორის, ინოვაციური და ენერგოდამზოგველი, ასევე სხვა ტიპის ტექნოლოგიური გაუმჯობესებები დაინერგება.

რაც შეეხება კონკრეტულ პროექტებს, ქარსელაძემ გამოყო ქუთაისის შემოვლითი გზისა და ქვეშეთი-კობის მონაკვეთის პროექტები.

– გამოვყოფ ქუთაისის შემოვლითი გზის პროექტს, სადაც გათვალისწინებულია ორი დამატებითი ზოლის მოწყობა, რაც 2020 წლისთვის დასრულდება. ეს იქნება ხსნა იმისთვის, რომ მაგისტრალური გზა ორივე მხრიდან ფუნქციონირებდეს. ასევე მნიშვნელოვანია ქვეშეთი-კობის მონაკვეთის პროექტის აღნიშვნა, სადაც არის შეფერხებები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზიანებები, ავტოსაგზაო შემთხვევები. ამჟამად დასრულებისკენ არის მისასვლელი გზის ტენდერი, ხოლო გვირაბის ტენდერი მაისის ბოლოსთვის იხსნება და ამ მიმართულებითაც ძალიან ინტენსიური სამუშაოები ჩატარდება, – განაცხადა ქარსელაძემ.

**BPN.GE**

# როგორ შეიცვალა მიკროსაფინანსოების ბაზარი ერთი წლის განმავლობაში

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე საბანკო რეგულაციები საკმაოდ ნეგატიურად აისახა. გარდა შემცირებული კრედიტებისა, ბოლო ერთ წლის განმავლობაში ბაზარი 12-მა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დატოვა, ამ სექტორში დასაქმებული 686 ადამიანი კი სამსახურის გარეშე დარჩა.

ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული ანგარიშების მიხედვით, 2019 წლის პირველ კვარტალში ბაზარზე სულ 61 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებდა, რაც 12 ერთეულით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2018 წლის პირველ კვარტალში ბაზარზე სულ 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო.



ამავე მონაცემებით, 2019 წლის პირველ კვარტალში საფინანსო ბაზრის ამ სექტორში სულ დასაქმებული იყო 4.225 ადამიანი, რაც 686 ადამიანით, დაახლოებით 14%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შარშან მისო-ებში 4 911 ადამიანი მუშაობდა.

მიკროსაფინანსოების კონსოლიდირებული ანგარიშის მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში 36 ერთეულით შემცირდა ფილიალების რაოდენობაც. თუ 2018 წლის პირველ კვარტალში 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 424 ფილიალით იყო წარმოდგენილი, 2019 წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 388-მდე შემცირდა.

ამავე პერიოდში სექტორის პორტფელში საცალო სესხების რაოდენობა 100.000 -ით შემცირდა. ანგარიშგების მიხედვით, 2019 წლის პირველ კვარტალში მისო-ების მიერ გაცემული იყო 820.993 ერთეული სესხი, ჯამში 1,122 მლრდ ლარის მოცულობის. 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში კი გაცემული იყო 920.324 ერთეული სესხი, ჯამში 1,159 მლრდ ლარის ოდენობის.

რაც შეეხება გაცემული სესხების სტრუქტურას, 2019 წლის პირველი კვარტალის კონსოლიდირებული მონაცემების მიხედვით, მისო-ების მიერ ჯამში გაცემული 1,122 მლრდ ლარის მოცულობის სესხიდან ყველაზე მეტი – 372,2 მლნ ლარი იყო სამომხმარებლო სესხი. გაცემული სესხების მოცულობით მეორე ადგილზეა სალომბარდე მომსახურება, 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, მიკროსაფინანსოებმა 317,2 მლნ ლარის ლომბარდული სესხი გასცეს. ვაჭრობისა და მომსახურების სფერო კი მიკროსაფინანსოებმა 185,9 მლნ ლარით დააკრედიტეს.

ამასთან, 2019 წლის პირველ კვარტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა იურიდიულ პირებზე 943 ერთეული სესხი გასცეს, ჯამში 23,2 მლნ ლარის მოცულობის.

**BPN**

# რუსეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია საქართველოში მონოპოლისტი ხდება

რუსეთი საქართველოს ენერგოოკუპაციას განაგრძობს. P.S.-ის ინფორმაციით, კომპანია „ვისოლი" იყიდება და მის ყიდვას რუსეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია „როსნეფტი" და მასთან დაკავშირებული ქართველი პარტნიორები აპირებენ. მოლაპარაკებებს ვისოლთან როსნეფტის შვილობილი კომპანია, ოფშორში დარეგისტრირებული „პეტროკასი" აწარმოებს. ის საქართველოში უკვე ფლობს სიდიდით მეორე ავტოგასამართ ქსელს, გალფს, ასევე ნავთობტერმინალს ფოთის პორტში.

კომპანია პეტროკასის 49% ის შეძენის შესახებ როსნეფტმა თავის აქციონერებს ჯერ კიდევ 2014 წელს აუწყა. მაშინ პეტროკასის მფლობელმა, რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა რუსულ ენერგოგიგანტს თავისი წილის ნახევარი თითქმის 140 მლნ. დოლარად დაუთმო. საქართველოში პერტოკასის და როსნეფტის აღზევებას კი სწორედ კრემლის გავლენებს და ბიძინა ივანიშვილის გარემოცვას უკავშირებენ.




როსნეფტი რომ საქართველოს ენერგომარწუხებში მოქცევას ცდილობს, კარგად იციან ჰაბ ჯორჯიაშიც, სადაც ფიქრობენ, რომ პეტროკასი და როსნეფტი სწორედ ხელისუფლებასთან და არაფორმალურ მმართველთან არიან გარიგებულები. ამის დასტურად კი სომხეთის ბაზარი მოჰყავთ, სადაც საწვავის ერთადერთი მიმწოდებელი სწორედ როსნეფტია.

ამჯერად კი როსნეფტი მონოპოლისტი უკვე საქართველოში ხდება. ყოველწლიურად საქართველოში 1 მლრდ. 800 მლნ. ლარის საწვავი შემოდის, საიდანაც 27%, ანუ 500 მლნ. ლარი სწორედ რუსეთზე მოდის. ანუ ასეთია როსნეფტთან დაკავშირებული ბაზრის სიდიდით მეორე მოთამაშე გალფისა და ასევე რუსული წარმომავლობის ლუკოილის წილი. ბაზრის უმსხვილესი კომპანიის, ვისოლის რუსული როსნეფტის ხელში გადასვლის შემდეგ კი, კრემლთან დაახლოებული ოლიგარქები უკვე საცალო ბაზრის სულ მცირე 40%ს გააკონტროლებენ. მათ ხელში გადავა საქართველოში მდებარე 180-მდე ახალი ბენზინგასამართი სადგური. ვისოლის დამფუძნებელი კომპანიის გაყიდვას არ გამორიცხავს, თუმცა ინფორმაციას, ვისოლისა და როსნეფტის შვილობილი პეტროკასის სამომავლო გარიგების შესახებ, ჭორს უწოდებს.

**რუსთავი2**

# გიორგი ქობულია: „თუ პარლამენტში მიმიწვევენ და მომთხოვენ პასუხს, აბა მოგვიყევი, მინისტრო, რა გააკეთეო, მოვალედ ჩავთვლი თავს, რომ მივიდე"

თუ მიმიწვევენ და მომთხოვენ პასუხს, აბა მოგვიყევი, მინისტრო, რა გააკეთე, რა კეთდებოდა, რის გაკეთებას აპირებდი, მაშინ მე მოვალედ ჩავთვლი თავს, რომ მივიდე პარლამენტში, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილმა მინისტრმა გიორგი ქობულიამ პარლამენტში შესაძლო მისვლასთან დაკავშირებით განუცხადა.



მინისტრი განმარტავს, რომ საკანონმდებლო ორგანოში მაშინ მივა, იქ თუ შესაბამისი მიწვევა და დაინტერესება იქნება.

– ჟურნალისტმა დამისვა კითხვა – ერთ-ერთი მიზეზი თქვენი გათავისუფლების იყო ის, რომ ცუდად მართავდით სამინისტროსო, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ეს ასე არ არის. მე საერთოდ არ მესმის, რას ნიშნავს სამინისტროს ცუდი მართვა და ეს ვერავინ ამიხსნა. თუ ვინმე დაინტერესდება იმ შედეგებით, რომელსაც ამ მოკლე ვადაში მივაღწიეთ, მზად ვარ ანგარიში წარვადგინო და მერე ვიმსჯელოთ, ცუდად ვმართავდი თუ არა. ვინაიდან მთავრობაში და პრემიერთან ეს ანგარიში წარდგენილი გვაქვს, მე ვთქვი, რომ პოტენციურად პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში შეიძლებოდა ამ ანგარიშის წარდგენა, – განაცხადა ქობულიამ.

**IPN**

# რა ჰკითხა იაგო ნებიერიძემ მოწმეს, რომელმაც ის მკვლელობის ადგილზე დაინახა



გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა იაგო ნებიერიძემ გუშინდელ სასამართლო სხდომაზე იმ მოწმეს მიმართა კითხვებით, რომელმაც მკვლელობის დღეს ის შემთხვევის ადგილზე ნახა.

აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა ნანა გუგუტიშვილმა გუშინ, 6 მაისს, უთხრა.

როგორც ის განმარტავს, აღნიშნული საქმე ფაქტობრივად დასკვნით ეტაპზეა. ბრალდების მხარეს 3 მოწმე დარჩა დასაკითხი, ამის შემდეგ კი წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს გამოიკვლევენ.

— ხუთი მოწმე დაიკითხა, აქედან იყვნენ ექსპერტები, ასევე გამომძიებელი და ორი მეზობელი, რომელთა შორის იყო ის მეზობელი, რომელმაც მკვლელობის დღეს, შემთხვევის ადგილზე ნახა ბრალდებული იაგო ნებიერიძე.

მნიშვნელოვანი იყო ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნები აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს დასკვნის სისწორე. ასევე მეზობლები დაიკითხნენ, რომლებმაც ბავშვის ძებნაში მიიღეს მონაწილეობა და აღმოაჩინეს მისი ცხედარი.

ეს დასკვნები გამოძიებისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს და ერთობლიობაში გვაძლევს მამხილებელ ინფორმაციას იაგო ნებიერიძის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ.

იაგო ნებიერიძეს კითხვა ჰქონდა მეზობელთან, რომელმაც მკვლელობის ადგილზე დაინახა და შემდეგში ამოიცნო ბრალდებული. ნებიერიძეს მასთან კითხვა ჰქონდა მკვლელობის ადგილზე მის ყოფნასთან დაკავშირებით, თუ რა ვითარებაში დაინახა, რაზეც უპასუხა მოწმემ, — განაცხადა გუგუტიშვილმა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 13 მაისს, 13:00 საათზე დაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, 33 წლის, წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს.

იაგო ნებიერიძეს ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენას. ნებიერიძეს ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# „თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე გამოძიება უახლოესი ორი თვის განმავლობაში დასრულდება"

## რას ამბობენ პროკურატურაში

საქართველოს პროკურატურა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება 2017 წლის 26 დეკემბერს, ახმეტის რაიონში, სოფელ დუისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, სამსახურებრივი უფლებამოსილების, იარაღის გამოყენებით, შესაძლო გადამეტების ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით).

ამ ეტაპზე, საქმეზე ჩატარებულია მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის: დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი და ამოღებულია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ნივთები, ჩატარებულია სასამართლო-სამედიცინო და კომპლექსური (გენეტიკური, ბალისტიკური, ტრასოლოგიური) ექსპერტიზები.

გამოძიებამ გამოკითხა არაერთი პირი, მათ შორის თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრები, მეზობლები. ასევე გამოკითხულია საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირი (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები).



გარდა ამისა, თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების მოთხოვნით, მათი და მათ მიერ მოწვეული ექსპერტების უშუალო მონაწილეობით ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება. ამასთანავე, გამოძიების ყველა ეტაპზე, საგამოძიებო ორგანოსა და აღნიშნულ პირებს შორის აქტიურად მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს კომუნიკაცია. ოჯახის ინტერესების დამცველი ადვოკატები არაერთხელ გაეცნენ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს.

ამავდროულად, საქმეზე დანიშნულია კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა თემირლან მაჩალიკაშვილისთვის ჩატარებული სამედიცინო დახმარების დროულობისა და ადეკვატურობის დასადგენად, რომელიც დღეის მდგომარეობითაც არ დასრულებულა.

ამჟამად, მოცემულ საქმეზე კვლავ ინტენსიურად ტარდება ყველა საჭირო და შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა გამოძიება დასკვნით ეტაპზეა და უახლოესი 2 თვის განმავლობაში მიღებული იქნება შემაჯამებელი გადაწყვეტილება" — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სამეგრელოში თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით ახალგაზრდა ქალის ქმარი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოჯახში ძალადობის ნიადაგზე თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხობის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1980 წელს დაბადებული ჯ.თ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მას ბრალი ედება გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის ნიადაგზე თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანასა და ოჯახში ძალადობაში.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თავის მეუღლეზე – რ.შ-ზე სისტემატურად ძალადობდა, რის გამოც ქალმა, მიმდინარე წლის 30 აპრილს, თვითმკვლელობა სცადა. იგი ამ დროისთვის სტაციონარში განაგრძობს მკურნალობას.

პოლიციაში შემოსული შეტყობინების საფუძველზე ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, გამოიკითხნენ მოწმეები, რომლებსაც, შესაძლოა, რაიმე სახის ინფორმაცია ჰქონოდათ მომხდარი ფაქტის შესახებ. ასევე, დაინიშნა შესაბამისი ექსპერტიზები.

აღსანიშნავია, რომ ჯ.თ.-ს მეუღლის მიერ თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ, საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისად, გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომლის საფუძველზეც ჯ.თ.-ს მასთან მიახლოება აეკრძალა.

გამოძიება გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის ნიადაგზე თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 11-პრიმა 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 126-პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით.

# ადიგენში ხელოვნების მასწავლებელმა აივანზე თავი ჩამოიხრჩო




ადიგენის ერთ-ერთ სოფელში, ხელოვნების მასწავლებელმა აივანზე თავი ჩამოიხრჩო.

52 წლის მამაკაცის ცხედარი შვილმა ნახა.

სოფელში ამბობენ, რომ ოჯახს ფინანსური პრობლემები ჰქონდა, თუმცა აქვს თუ არა კავშირი თვითმკვლელობას მის ეკონომიურ მდგომარეობასთან, უცნობია.

– სკოლაში მუშაობდა, ხელოვნებას ასწავლიდა. შეჭირვებული ოჯახი იყო, მაგრამ ისე ძალიანაც არა, რომ თავი მოეკლა. თვითონაც მუშაობდა, ცოლიც და შვილიც. საკუთარმა 17-18 წლის შვილმა ნახა ჩამომხრჩვალი, – განაცხადეს თანასოფლელებმა.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე კოდექსით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ქალის დანაწევრებული სხეული ქუთაისში იმ ჩიხში იპოვეს, სადაც მანამდე დაქუცმაცებული კატა ნახეს



ქუთაისში მომხდარი შემზარავი მკვლელობის შესახებ ინფორმირებული წყარო დუმილს არღვევს და „პრაიმტაიმს" დეტალებს უამბობს.

მისი თქმით, 40 წლამდე ქალი რიტუალური მსხვერპლშეწირვის გამო მოკლეს.

— საზარელი სანახაობა იყო, ქალის დაქუცმაცებული სხეული ქუთაისში ერთ-ერთ ჩიხში იპოვეს. ადგილობრივებმა მანამდე, ზუსტად იმ ადგილას, დაქუცმაცებული კატა ნახეს. ამიტომაც, ეჭვი გაგვიჩნდა, რომ ეს უცნობი დაჯგუფების ნამოქმედარია.

რა თქმა უნდა, ქუთაისში ამ ამბის შესახებ მითქმა-მოთქმა არ წყდება. მოსახლეობას ძალიან ეშინია და ამიტომაც, ხმას ვერავინ იღებს. ჩვენთან ეს სატანისტური რიტუალები აქამდე არ სრულდებოდა. ვინ არიან ამ დაჯგუფებაში, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ რადგანაც არსებობს მსხვერპლი, ე.ი. არსებობენ ცივსისხლიანი შეშლილები და ვიზაფრებით ამის გაცნობიერებით, — განმარტავს წყარო.

„პრაიმტაიმი" შსს-ს დაუკავშირდა.

როგორც უწყებაში განმარტავენ, საზარელი მკვლელობა დაახლოებით 6 თვის წინაა მომხდარი, თუმცა სამართალდამცველებისთვის ეს ცნობილი 1 თვის წინ გახდა.

გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ამ დროისთვის, ექსპერტიზის პასუხი ცნობილი არ არის და, შესაბამისად, შსს რიტუალურ მსხვერპლშეწირვას არ ადასტურებს.

— წინასწარ არაფრის დადასტურება არ შემიძლია, თუმცა თავიდანვე ითქვა მსგავსი რამ (რიტუალური მკვლელობა), მაგრამ არ დადასტურებულა. გვამი იმდენად დასახიჩრებულია, რომ იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, — განუცხადა „პრაიმტაიმს" შსს-ს წარმომადგენელმა.

# იყალთოში გელა გერმანიშვილის მკვლელობისთვის ლ.კ. დააკავეს



კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებულმა ლ. კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლ. კ.-მ თელავის რაიონის სოფელ იყალთოში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თანასოფლელს, 1977 წელს დაბადებულ გელა გერმანიშვილს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულის დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

პოლიციამ ლ. კ. მომხდარიდან 2 საათში გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში დააკავა, დანაშაულის ჩადენის იარაღი ამოღებულია.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

# 2 ირანელ ნარკომოვაჭრეს 16-16 წელი მიესაჯა



განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შენახვასა და საქართველოში უკანონოდ შემოტანისთვის ბრალდებულ ირანის ორ მოქალაქეს 16-16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შენახვასა და საქართველოში უკანონოდ შემოტანისთვის ბრალდებულები, ირანის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ირანის რესპუბლიკის მოქალაქეებმა პ.გ.-მ და ს.გ.-მ უკანონოდ შეიძინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები და სხეულში დამალვის გზით, 2018 წლის 4 დეკემბერს უკანონოდ შემოიტანეს საქართველოში. პ.გ.-მ 8 აბი (0.1922 გრ.) ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი" და 51,3823 გრ. „ჰეროინი", ხოლო ს.გ.-მ 51,2325 გრ. „ჰეროინი".

სამართალდამცველებმა ორივე პირი იმავე დღეს ქ. რუსთავში დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანა) და 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვა) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ პ.გ. და ს.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით 16-16 წლით თავისუფლება აღკვეთა განუსაზღვრა.

# თელავში 25 წლის მამაკაცი დაჭრეს




თელავში ურთიერთშელაპარაკებისას 25 წლის მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს.

ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, რომელსაც ოპერაცია უკვე ჩაუტარდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# ზელენსკისა და კოლომოისკის გზები გაიყარა?!



უკრაინელმა ოლიგარქმა იგორ კოლომოისკიმ, რომელიც ახლა ისრაელში ცხოვრობს, განაცხადა, რომ დონბასში სამოქალაქო ომია.

– უკრაინელები ებრძვიან უკრაინელებს! რასაკვირველია, ეს სისხლიანი ქარ-ბორბალა რუსეთის ორგანიზებულია. რუსები რომ არა, ეს ომი არც დაიწყებოდა. ამავე დროს, ისიც ფაქტია, რომ საქმე გვაქვს შიდა კონფლიქტთან და არა მხოლოდ გარეშე აგრესიასთან, – თქვა კოლომოისკიმ.

ოლიგარქმა არც ახლად არჩეული პრეზიდენტი ზელენსკი დაივიწყა. მან ფრიად უცერემონიოდ შენიშნა, რომ ზელენსკის პოლიტიკური მოღვაწეობის გამოცდილება არა აქვს, ამიტომ გამოთქვა მზადყოფნა, უკრაინაში დაბრუნდეს და გვერდში დაუდგეს.

– ზელენსკის ქვეყნის მართვაში დავეხმარები, – ამბობს კოლომოისკი.

უკრაინელი პოლიტოლოგი ბელაშკო თვლის, რომ კოლომოისკის გამოსვლა ცხადი მაჩვენებელია იმისა, რომ ოლიგარქი თავის ყოფილ ბიზნეს-პარტნიორ ზელენსკით უკმაყოფილოა. კოლომოისკის ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნება სურს. როგორც ჩანს, ის დარწმუნდა, რომ ზელენსკი ამას არ გააკეთებს და ახლა პუტინის იმედი აქვს.

– კოლომოისკიმ რუსული პროპაგანდის თეზისი გაიმეორა, დონბასში სამოქალაქო ომიაო! ამით მან პუტინს გარკვეული სიგნალი გაუგზავნა, აქაოდა თქვენთან კავშირზე მზადა ვარო, – მიიჩნევს ბელაშკო.

პოლიტოლოგის აზრით, ზელენსკიმ თავის ყოფილ მფარველ კოლომოისკის ზურგი შეაქცია. ახლა უკრაინის პრეზიდენტს ახლო ურთიერთობები მეორე ოლიგარქთან, პინჩუკთან აქვს.

# ტრამპი: „მუელერმა კონგრესს ჩვენება არ უნდა მისცეს“



აშშ-ში გრძელდება აჟიოტაჟი სპეცპროკურორ მუელერის გამოძიების გამო. სწორედ მუელერი ხელმძღვანელობდა გამოძიებას, რომლის მიზანიც არჩევნებში რუსების ჩარევის საკითხის გარკვევა იყო.

ახლა მუელერი კონგრესის წინაშე უნდა წარდგეს. ამან ტრამპი შეაშფოთა.

– მუელერმა კონგრესს ჩვენება არ უნდა მისცეს! – თქვა პრეზიდენტმა.

ტრამპის აზრით, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა მუელერის მოხსენება გადაასხვაფერეს. შესაბამისად, მუელერი მათ წინაშე არ უნდა წარდგეს.

# მოსკოვის აეროპორტში სამგზავრო თვითმფრინავი დაიწვა

## დაიღუპა 41 ადამიანი



5 მაისს სამგზავრო თვითმფრინავი SSJ-100, რომელიც მოსკოვიდან მურმანსკში მიფრინავდა, ავარიულად დაჯდა შერემეტიევოს აეროპორტში.

ეს შერემეტიევოს აეროპორტიდან აფრენიდან ნახევარ საათში მოხდა.

მას შემდეგ, რაც ბორტმა უკან დაბრუნება და ავარიულად დაჯდომა ითხოვა, მასთან კავშირი გაწყდა.

პირველ ცდაზე მან დაჯდომა ვერ მოახერხა, მეორე ცდაზე კი საფრენ ბილიკზე შასით დაეცა, შემდეგ ბილიკს ცხვირი დაარტყა და ცეცხლი გაუჩნდა.

თვითმფრინავის ნახევარზე მეტი დაიწვა.

– ხალხი ტრაპებიდან ხტებოდა, – წერს რუსეთის მედია.

კატასტროფის გამო დაიღუპა 41 ადამიანი. გადარჩა 37 ადამიანი. მათ შორის 33 მგზავრი და 4 პილოტი.

მათგან 5 ადამიანი კლინიკაშია გადაყვანილი.

საგამოძიებო კომიტეტი მომხდარს იძიებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

კალეიდოსკოპი

# ყურსაცმი, რომელიც ტაივანელს გადაეყლაპა, კუჭშიც აგრძელებდა მუშაობას



ტაივანის მკვიდრი ბენ ხსუ გაოგნდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ყურსაცმი, რომელიც მას შემთხვევით გადაეყლაპა, მის კუჭში მუშაობას აგრძელებდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტაივანელს უსადენო ყურსაცმებით მუსიკის სმენის დროს ჩაეძინა. გაღვიძების შემდეგ ის ერთ-ერთ მათგანს დიდხანს ეძებდა. ძებნის ფუნქციის გამოყენებით მან დაადგინა, რომ ყურსაცმი მის ოთახში იმყოფებოდა და მუშაობას აგრძელებდა. უფრო მეტიც, მას ესმოდა ხმა, რომელიც მოწყობილობიდან გამოდიოდა, მაგრამ ვერაფრით ხვდებოდა, თუ საიდან ისმოდა. გარკვეული დროის შემდეგ ბენ ხსუ მიხვდა, რომ ხმა მისი მუცლიდან მოდიოდა, ანუ ყურსაცმი მუშაობას მის კუჭშიც აგრძელებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტაივანელი დისკომფორტს არ განიცდიდა, მან გადაწყვიტა დახმარებისთვის ადგილობრივი საავადმყოფოსთვის მიემართა. ექიმებმა რენტგენზე გააშუქეს პაციენტი, რამაც დაადასტურა, რომ ყურსაცმი მას კუჭში ჰქონდა. ექიმებმა ბენ ხსუს აცნობეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ უცხო საგანი მისი ორგანიზმიდან ბუნებრივი გზით არ გამოვიდოდა, მაშინ ქირურგიული ჩარევა გახდებოდა აუცილებელი.

საბედნიეროდ ტაივანელს ოპერაციის გაკეთება აღარ დაჭირდა, ხოლო ის კიდევ უფრო გაოცებული დარჩა, როდესაც ყურსაცმი გარეცხვისა და გაშრობის შემდეგ ისევ გამართულად მუშაობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კანადაში მზის გარშემო უცნაური რგოლები დააფიქსირეს



უფოლოგი სკოტ უორინგი, რომელსაც პრაქტიკულად მთელი მსოფლიო იცნობს, ისევ ალაპარაკდა სხვადასხვა საიდუმლოებით მოცულ მოვლენებზე, რომლებზეც ოფიციალური მეცნიერება ლოგიკურ განმარტებებს ვერ იძლევა.

სპეციალისტმა საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსა უცნაური ფოტოსურათი, რომელზეც მზის გარშემო სამი რგოლის გამოსახულების დანახვაა შესაძლებელი. ფოტოსურათი დიდი ტბების რაიონშია გადაღებული, რომელიც კანადაში მდებარეობს. მისი ნახვა სოციალურ ქსელებში გასულ კვირაში იყო შესაძლებელი.

ინტერნეტ-მომხმარებლები აღნიშნულმა სურათმა დააბნია, რაც მათ კომენტარებზეც აისახა. ასევე აღნიშნულ თემაზე საკუთარი აზრი სკოტ უორინგმაც გამოთქვა. მისი აზრით, ეს არ შეიძლება იყო ჩრდილოეთის ციალი, ვინაიდან მზე დასავლეთით ჩადის, მისი ვარაუდით, ამ რგოლების გაჩენის მიზეზი შესაძლოა მეტისმეტად დიდი ენერგია გახდა, რომლის დაგროვებაც დიდი ტბების რაიონში ხდება.

გარდა ამისა, გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს შესაძლოა ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ყოფილიყო, რომელიც იმ მომენტში ფრინდებოდა პლანეტის ზედაპირიდან. იმის გამო, რომ უცხოპლანეტელთა ხომალდს დიდი ენერგია სჭირდება მართვისთვის, ის იძულებული იყო იმ რაიონში მზის ჩასვლას დალოდებოდა, რათა შემდეგ სიბნელეში განეხორციელებინა აფრენა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# საბურთალო ისევ გალიდერდა

**საბურთალო-ლოკომოტივი 1:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 შინდაგორიძე (79)

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე, ცნობილაძე, კაკუბავა, გვარაძე (გორგიაშვილი 55), დიასამიძე, დვალიშვილი, გი (შინდაგორიძე 46), როლოვიჩი (კოხრეიძე 63)

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, კომახიძე, უბილავა, შონია, კობახიძე (არდაზიშვილი 62), ძებნიაური (გვალია 73), კირკიტაძე, დავითაშვილი (სამურკასოვი 81), სიხარულიძე

**გაძევება:** გურეშიძე (66)

საბურთალომ მხოლოდ ერთი ტურით დათმო ლიდერობა და კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა 3 ქულის მოპოვება დედაქალაქურ დერბიში, ლოკომოტივთან მატჩში მოახერხეს. ერთადერთი და გამარჯვების მომტანი გოლი ლაშა შინდაგორიძემ გაიტანა, რომელსაც წლევანდელ სეზონში მე-6 გატანილი ბურთი დაუგროვდა.

არადა, მატჩი აქტიურად სტუმრებმა დაიწყეს – ირაკლი სიხარულიძე საბურთალოს კარს ორჯერ დაემუქრა, მაგრამ ერთხელ ომარ მიგინეიშვილმა მოიგერია, მეორედ კი ბურთი მცირედით ასცდა მიზანს. მალევე მასპინძლებმა გოლი გაიტანეს – ვარდნაში ლევან კაკუბავამ კარგად ითამაშა და გოლიც გაიტანა, თუმცა გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. არადა, თითქოს წესების დაცვით გავიდა...

მე-2 ტაიმის საწყისი წუთები საბურთალომ აქტიურად დაიწყო – მეტოქის კართან ზედიზედ რამდენიმე კუთხური ჩააწოდა. ერთ-ერთ ასეთ ჩაწოდებულზე ბურთი მცირედით ასცდა ლოკოს კარის ჩარჩოს. მალე სტუმრებს შეექმნათ ხელსაყრელი ეპიზოდი, მაგრამ ახლო მანძილიდან კარში ზუსტად ვერ დაარტყეს.



66-ე წუთზე ლოკომოტივი კაცნაკლული დარჩა – საჯარიმოს კუთხესთან ალექსანდრე გურეშიძემ ლაშა შინდაგორიძე წააქცია და ყვითელი ბარათი მიიღო. მცველისთვის მეორე ბარათი აღმოჩნდა და ავტომატურად მინდვრის დატოვება მოუხდა.

79-ე წუთზე კი შეხვედრაში ერთადერთი ბურთი გავიდა, გოლი კი ცვლილებაზე შესულმა ფეხბურთელებმა შექმნეს – თორნიკე გორგიაშვილმა მარცხნივ გიორგი კოხრეიძე მოძებნა, რომელმაც საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს შინდაგორიძე დაუხვდა და თავით ზუსტად დაჰკრა.

ამ მოგებით საბურთალომ სეზონში მერვე გამარჯვება მოიპოვა, 24 ქულა დააგროვა და კვლავინდებურად ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას.

**დილა-ჩიხურა 2:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ნონიკაშვილი (12), 2:0 გოშთელიანი (24)

**დილა:** გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, სანტოსი, გრიგალაშვილი, ნონდი, ფორტესი (რაზმაძე 73), კუცია (სპანდერაშვილი 80), ნონიკაშვილი, გოშთელიანი (ლემპტი 87)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კამლაძე, მაისაშვილი, კორიფაძე, ჩიკვაიძე (მეგრელიშვილი 28), მამასახლისი (იონანიძე 72), მარკოზაშვილი, მახარობლიძე, სარდალიშვილი, ჩიხლაძე, დეკანოიძე (ერგემლიძე 28)

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა გორის დილამ. გიორგი დეკანოსიძის გუნდმა ამჯერად საკუთარ მოედანზე საჩხერის ჩიხურა დაამარცხა – 2:0.

მატჩის პირველი გოლი მატჩის მე-12 წუთზე ლევან ნონიკაშვილმა გაიტანა, ხოლო მეორეჯერ სტუმართა კარი გურამ გოშთელიანმა აიღო.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 11 | 8 | 0 | 3 | 24-16 | 24 |
| 2.დინამო (ბთ) | 11 | 7 | 1 | 3 | 17-11 | 22 |
| 3.დინამო (თბ) | 11 | 6 | 2 | 3 | 22-10 | 20 |
| 4.ტორპედო | 11 | 6 | 2 | 3 | 15-12 | 20 |
| 5.ჩიხურა | 11 | 3 | 6 | 2 | 14-11 | 15 |
| 6.დილა | 11 | 4 | 2 | 5 | 10-10 | 14 |
| 7.სიონი | 11 | 4 | 2 | 5 | 15-24 | 14 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 11 | 3 | 2 | 6 | 7-12 | 11 |
| 9.ლოკომოტივი | 11 | 3 | 0 | 8 | 12-18 | 9 |
| 10.რუსთავი | 11 | 1 | 3 | 7 | 9-21 | 6 |

# დელტა ნახევარფინალშია, კაკტუსი — სუპერლიგაში

**ოლიმპი-დელტა 71:81**

(18:18, 19:17, 19:21, 15:25)

სუპერლიგის პირველი ნახევარფინალისტი საკალათბურთო კლუბი დელტაა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ოლიმპს სერია მშრალი ანგარიშით – 3:0 მოუგო. დელტელებმა სერიის მესამე მატჩში, მეტოქის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავისი გაიტანეს, 81:71 მოიგეს და ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს.

სერიის წინა მატჩებისგან განსხვავებით, ოლიმპი ამ შეხვედრას უმეტესწილად იგებდა. დიმიტრი ჟაკობოვის გუნდი სტაბილურად თამაშობდა როგორც დაცვაში, ისე შეტევაში, თუმცა დელტაც არ უდებდა ტოლს და დასრულებამდე 2 წუთით ადრე დელტელთა უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია, რაც ლაფანაშვილის გუნდის გამარჯვებას და ნახევარფინალში გასვლას ნიშნავდა.

დელტას 21 ქულით ოთარ ფხაკაძემ ულიდერა. 18 ქულა მალკოლმ დრამრაითმა მიითვალა, ერიქ ნოთიჯის ანგარიშზე კი ორმაგი დუბლი – 12 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. ოლიმპში 18 ქულით საუკეთესო იყო რევაზ როგავა, მარკ ოგდენის ანგარიშზე კი 11 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა.

დელტა ნახევარფინალშია და მეტოქეს მგზავრებისა და წყვილიდან ელოდება, სადაც სერიაში ანგარიში თანაბარია – 1:1.



ძირითადად თანაბარი თამაში მიდიოდა. პირველი პერიოდი ფრედ – 18:18 დასრულდა. თანაბარი თამაში მეორე ათწუთეულშიც გაგრძელდა, რომელიც ოლიმპის მცირე უპირატესობით – 19:17 დასრულდა და დიდ შესვენებაზე ჯაკობოვის გუნდი 37:35 იგებდა.

შესვენების შემდეგ დელტამ მეტი აგრესიით შეუტია, დაცვაში კი პერსონალური მეურვეობა დაუწესა ოლიმპელთა ცენტრ მარკ ოგდენს. შესაბამისად, ჯაკობოვის გუნდს ქულების მოხვეჭა გაუჭირდა, მით უფრო, რომ შორი სამიზნე ოლიმპის მსროლელებმა ვერა და ვერ გაისწორეს. მესამე პერიოდი დელტამ 21:19 მოიგო და ბოლო ათწუთეულის წინ ანგარიში ისევ თანაბარი – 56:56 გახლდათ.

ბოლო მეოთხედში დელტამ აშკარა უპირატესობა მოიპოვა. დაცვაში კარგი თამაში გააგრძელა, ხოლო შეტევაში ოთარ ფხაკაძის, მალკოლმ დრამრაითის და ბექა ბექაურის შედეგიანობით ხშირად ხეირობდა. მატჩის

**დინამო-თსუ ჰიუნდაი 90:72**

(21:23, 25:22, 20:17, 24:10)

თამაშის გამარჯვებული ნახევარფინალს უახლოვდებოდა და ეს გუნდი დინამო აღმოჩნდა, რომელმაც 90:72 გაიმარჯვა და საერთო ანგარიშით – 2:1 დაწინაურდა.

მატჩი ისე დაიწყო და მიმდინარეობდა ბოლო პერიოდამდე, ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ საბოლოოდ 18-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდებოდა. თსუ-ჰიუნდაი 3 მეოთხედი ტოლს არ უდებდა მეტოქეს. პირიქით, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა პირველი პერიოდი 23:21 მოიგო, ერთ ეპიზოდში კი 7 ქულითაც გალიდერდა, თუმცა დინამო თავის შანსს ელოდა და როცა გადამწყვეტი მომენტი დადგა, მთელი ძალით ამოქმედდა.

ბოლო პერიოდის წინ დინამოელები 4 ქულით იგებდნენ და სავარა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ქართველთა ტური ესპანეთსა და სერბეთში

ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი მატჩი მოიგო თორნიკე შენგელიას გუნდმა. ბასკონიამ მანრესას უმასპინძლა და დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა – 81:72.

ბასკების მწვრთნელმა ქართველი ფორვარდი 24 წუთი ათამაშა, რა დროშიც მან 14 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა. თორნიკემ ექვსივე ორქულიანი ჩააგდო, 5 საჯარიმოდან კი 2 გამოიყენა. თუმცა, დაცვაში ჩინებულად ირჯებოდა და ამის გამო „ლიგა ენდესას" ვებგვერდმა ესპანეთის ჩემპიონატის 30-ე ტურის საუკეთესო ხუთეულში შეიყვანა.

ბასკონიას 23 მოგება, 7 წაგება აქვთ და ცხრილში მესამე ადგილზე არიან. ბასკონიელები მხოლოდ 1 მოგებით ჩამორჩებიან რეალსა და ბარსელონას.

შემდეგ მატჩს ბასკონია სან სებასტიანში, ბექა ბურჯანაძის გიპუზკოასთან გამართავს.

ბურჯანაძის გუნდმა კი ესპანეთის ჩემპიონატი ცუდად დაიწყო, დიდი ხნის განმავლობაში ბოლო ადგილს ტკეპნიდა, თუმცა ნელ-ნელა ტრავმამოშუშებული ბექაც ფორმაში შევიდა და გუნდიც ათამაშდა.

ესპანეთის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 4 ტურია დარჩენილი. აქამდე გიპუაზკოა მუდმივად გასავარდნ ზონაში (2 ვარდება) იყო, ბოლო ტურში კი ფასეული გამარჯვება მოიპოვა და მე-16 პოზიციაზე (ბოლოდან მესამეზე) აინაცვლა.

მოწინააღმდეგე მურსია გახ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

### 5 მაისი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჰადერსფილდი-მანჩესტერი ........... 1:1
ჩელსი-უოტფორდი ........................ 3:0
არსენალი-ბრაიტონი ..................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 37 | 29 | 7 | 1 | 87-22 | 94 |
| 2.სიტი | 36 | 30 | 2 | 4 | 90-22 | 92 |
| 3.ჩელსი | 37 | 21 | 8 | 8 | 63-39 | 71 |
| 4.ტოტენჰემი | 36 | 23 | 1 | 12 | 65-36 | 70 |
| 5.არსენალი | 37 | 20 | 7 | 10 | 70-50 | 67 |
| 6.მაჩესტერი | 37 | 19 | 9 | 9 | 65-52 | 66 |
| 7.ვულვზი | 37 | 16 | 9 | 12 | 47-44 | 57 |
| 8.ევერტონი | 37 | 15 | 8 | 14 | 52-44 | 53 |
| 9.ლესტერი | 36 | 15 | 6 | 15 | 51-47 | 51 |
| 10.უოტფორდი | 37 | 14 | 8 | 15 | 51-55 | 50 |
| 11.ვესტ ჰემი | 37 | 14 | 7 | 16 | 48-54 | 49 |
| 12.კრ.პალასი | 37 | 13 | 7 | 17 | 46-50 | 46 |
| 13.ბორნმუთი | 37 | 13 | 6 | 18 | 53-65 | 45 |
| 14.ნიუკასლი | 37 | 11 | 9 | 17 | 38-48 | 42 |
| 15.ბარნლი | 37 | 11 | 7 | 19 | 44-65 | 40 |
| 16.საუთჰემპტონი | 37 | 9 | 11 | 17 | 44-64 | 38 |
| 17.ბრაიტონი | 37 | 9 | 9 | 19 | 34-56 | 36 |
| 18.კარდიფი | 37 | 9 | 4 | 24 | 32-69 | 31 |
| 19.ფულემი | 37 | 7 | 5 | 25 | 34-77 | 26 |
| 20.ჰადერსფილდი | 37 | 3 | 6 | 28 | 21-75 | 15 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-ნორვიჩი ..................... 1:2
ბლექბერნი-სუინსი......................... 2:2
ბრენტფორდი-პრესტონი ............... 3:0
დერბი-ვესტ ბრომვიჩი ................... 3:1
იფსვიჩი-ლიდსი ............................. 3:2
ნოტინგემი-ბოლტონი ..................... 1:0
რედინგი-ბირმინგემი...................... 0:0
როტეჰემი-მიდლსბრო ................... 1:2
სტოკი-შეფილდი ............................ 2:2
უიგანი-მილუოლი .......................... 1:0
ჰალი-ბრისტოლი ........................... 1:1
უენსდი-ქპრ ................................... 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-ხირონა ............................. 2:0
ეიბარი-ბეტისი ............................... 1:0
რეალი-ვილიარეალი ...................... 3:2
ვალიადოლიდი-ბილბაო ................ 1:0
უესკა-ვალენსია ............................. 2:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 25 | 8 | 3 | 86-34 | 83 |
| 2.ატლეტიკო | 36 | 22 | 8 | 6 | 52-26 | 74 |
| 3.რეალი | 36 | 21 | 5 | 10 | 62-41 | 68 |
| 4.ხეტაფე | 36 | 15 | 13 | 8 | 46-31 | 58 |
| 5.სევილია | 36 | 16 | 7 | 13 | 59-46 | 55 |
| 6.ვალენსია | 36 | 13 | 16 | 7 | 46-34 | 55 |
| 7.ბილბაო | 36 | 12 | 14 | 10 | 38-42 | 50 |
| 8.სოსიედადი | 36 | 12 | 11 | 13 | 42-43 | 47 |
| 9.ესპანიოლი | 36 | 12 | 11 | 13 | 44-50 | 47 |
| 10.ალავესი | 36 | 12 | 11 | 13 | 36-46 | 47 |
| 11.ეიბარი | 36 | 11 | 13 | 12 | 44-47 | 46 |
| 12.ლეგანესი | 36 | 11 | 12 | 13 | 36-39 | 45 |
| 13.ბეტისი | 36 | 12 | 8 | 16 | 40-51 | 44 |
| 14.ვილიარეალი | 36 | 9 | 13 | 14 | 46-50 | 40 |
| 15.სელტა | 36 | 10 | 10 | 16 | 50-57 | 40 |
| 16.ლევანტე | 36 | 10 | 10 | 16 | 55-63 | 40 |
| 17.ვალიადოლიდი | 36 | 9 | 11 | 16 | 30-48 | 38 |
| 18.ხირონა | 36 | 9 | 10 | 17 | 35-49 | 37 |
| 19.რაიო | 36 | 8 | 7 | 21 | 38-66 | 31 |
| 20.უესკა | 36 | 6 | 12 | 18 | 40-62 | 30 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ალმერია ............................. 4:2
მალიორკა-ხიხონი ......................... 2:1
ალბასეტე-ნუმანსია ...................... 0:0
ელჩე-მაჰადაონდა ......................... 2:1
ოვიედო-გრანადა .......................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შალკე-აუგსბურგი ......................... 0:0
ფრაიბურგი-ფორტუნა ................... 1:1
ლევერკუზენი-აინტრახტი ............. 6:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 23 | 5 | 4 | 83-31 | 74 |
| 2.დორტმუნდი | 32 | 21 | 7 | 4 | 76-42 | 70 |
| 3.ლაიფციგი | 32 | 19 | 8 | 5 | 62-27 | 65 |
| 4.აინტრახტი | 32 | 15 | 9 | 8 | 59-41 | 54 |
| 5.ლევერკუზენი | 32 | 17 | 3 | 12 | 63-50 | 54 |
| 6.გლადბახი | 32 | 15 | 7 | 10 | 51-40 | 52 |
| 7.ვოლფსბურგი | 32 | 15 | 7 | 10 | 54-46 | 52 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 32 | 13 | 12 | 7 | 68-47 | 51 |
| 9.ვერდერი | 32 | 12 | 11 | 9 | 55-48 | 47 |
| 10.ფორტუნა | 32 | 12 | 5 | 15 | 45-61 | 41 |
| 11.ჰერტა | 32 | 10 | 10 | 12 | 44-49 | 40 |
| 12.მაინცი | 32 | 10 | 7 | 15 | 40-55 | 37 |
| 13.ფრაიბურგი | 32 | 7 | 12 | 13 | 41-57 | 33 |
| 14.აუგსბურგი | 32 | 8 | 8 | 16 | 47-59 | 32 |
| 15.შალკე | 32 | 8 | 7 | 17 | 36-54 | 31 |
| 16.შტუტგარტი | 32 | 6 | 6 | 20 | 29-70 | 24 |
| 17.ნიურნბერგი | 32 | 3 | 10 | 19 | 25-59 | 19 |
| 18.ჰანოვერი | 32 | 4 | 6 | 22 | 27-69 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-უნიონი ....................... 2:1
კილი-დუისბურგი ........................... 0:2
რეგენსბურგი-აუე .......................... 1:3

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-ფიორენტინა .................... 1:0
ლაციო-ატალანტა ......................... 1:3
პარმა-სამდორია ........................... 3:3
სასუოლო-ფროზინონე .................. 2:2
ჯენოა-რომა .................................. 1:1
ნაპოლი-კალიარი ........................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 28 | 5 | 2 | 69-25 | 89 |
| 2.ნაპოლი | 35 | 22 | 7 | 6 | 66-31 | 73 |
| 3.ინტერი | 35 | 18 | 9 | 8 | 52-28 | 63 |
| 4.ატალანტა | 35 | 18 | 8 | 9 | 71-43 | 62 |
| 5.რომა | 35 | 16 | 11 | 8 | 62-47 | 59 |
| 6.ტორინო | 35 | 14 | 15 | 6 | 45-30 | 57 |
| 7.მილანი | 34 | 15 | 11 | 8 | 47-33 | 56 |
| 8.ლაციო | 35 | 16 | 7 | 12 | 50-39 | 55 |
| 9.სამპდორია | 35 | 14 | 7 | 14 | 57-49 | 49 |
| 10.სასუოლო | 35 | 9 | 15 | 11 | 50-54 | 42 |
| 11.სპალი | 35 | 11 | 9 | 15 | 39-48 | 42 |
| 12.ფიორენტინა | 35 | 8 | 16 | 11 | 47-43 | 40 |
| 13.კალიარი | 35 | 10 | 10 | 15 | 33-49 | 40 |
| 14.პარმა | 35 | 9 | 11 | 15 | 38-55 | 38 |
| 15.ბოლონია | 34 | 9 | 10 | 15 | 37-48 | 37 |
| 16.ჯენოა | 35 | 8 | 12 | 15 | 37-54 | 36 |
| 17.უდინეზე | 35 | 8 | 10 | 17 | 31-49 | 34 |
| 18.ემპოლი | 35 | 8 | 8 | 19 | 44-66 | 32 |
| 19.ფროზინონე | 35 | 5 | 9 | 21 | 28-64 | 24 |
| 20.კიევო | 35 | 2 | 12 | 21 | 25-73 | 15 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-პადოვა ........................ 3:3
ლივორნო-კარპი ............................ 1:0
სალერნიტანა-კოზენცა ................. 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონპელიე-ამიენი........................... 1:1
ნანტი-დიჟონი ............................... 3:0
ტულუზა-რენი ................................ 2:2
მონაკო-სტ.ეტიენი ........................ 2:3
ლიონი-ლილი ................................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 35 | 27 | 4 | 4 | 98-31 | 85 |
| 2.ლილი | 35 | 20 | 9 | 6 | 61-30 | 69 |
| 3.ლიონი | 35 | 18 | 9 | 8 | 60-45 | 63 |
| 4.სტ.ეტიენი | 35 | 18 | 8 | 9 | 55-39 | 62 |
| 5.მარსელი | 35 | 16 | 7 | 12 | 54-47 | 55 |
| 6.მონპელიე | 35 | 14 | 13 | 8 | 51-40 | 55 |
| 7.ნიცა | 35 | 14 | 10 | 11 | 27-31 | 52 |
| 8.ნიმი | 35 | 14 | 7 | 14 | 52-53 | 49 |
| 9.რეიმსი | 35 | 11 | 16 | 8 | 33-38 | 49 |
| 10.სტრასბური | 35 | 10 | 16 | 9 | 56-44 | 46 |
| 11.ნანტი | 35 | 13 | 7 | 15 | 46-45 | 46 |
| 12.ანჟე | 35 | 10 | 15 | 10 | 42-41 | 45 |
| 13.რენი | 35 | 11 | 12 | 12 | 49-50 | 45 |
| 14.ბორდო | 35 | 9 | 11 | 15 | 33-40 | 38 |
| 15.ტულუზა | 35 | 8 | 13 | 14 | 32-50 | 37 |
| 16.ამიენი | 35 | 8 | 10 | 17 | 29-49 | 34 |
| 17.მონაკო | 35 | 7 | 12 | 16 | 36-54 | 33 |
| 18.კაენი | 35 | 6 | 12 | 17 | 26-47 | 30 |
| 19.დიჟონი | 35 | 7 | 7 | 21 | 27-54 | 28 |
| 20.გენგამი | 35 | 5 | 10 | 20 | 24-63 | 25 |

**ჰოლანდია. თასი**

**ფინალი**

ტილბურგი-აიაქსი ......................... 0:4

**პორტუგალია. პრიმერა ლიგა**

ტონდელა-სანტა კლარა ................ 1:3
ბელენენსეში-სპორტინგი .............. 1:8
გიმარაეში-ნასიონალი ................... 2:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-უფა .................................. 1:1
ცსკა-დინამო ................................. 2:2
როსტოვი-კრასნოდარი ................. 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ლუცერნი ........................ 1:0
სიონი-იანგ ბოიზი ......................... 0:4
თუნი-ქსამაქსი .............................. 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-ჰიბერნიანი ................. 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-ვოლფსბერგერი ............ 3:0
სტ.პოლტენი-შტურმი .................... 0:1
აუსტრია-ზალცბურგი ................... 1:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-სტანდარდი ............. 2:1
გენტი-ბრიუგე ............................... 0:1
მუსკრონი-ვარეგემი ...................... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-მალათია ......................... 0:2
გიოზთეფე-ანთალია ...................... 4:1
გალათასარაი-ბეშიქთაში ............. 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-იაბლონეცი ...................... 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-ლეხია ............................ 2:0
სოსნოვეცი-სლასკი ....................... 2:4

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლიმპიკი-ვორსკლა ..................... 1:1
დესნა-ჩერნომორეცი ..................... 2:4
კარპატი-არსენალი ........................ 1:2

**დანია. სუპერლიგა**

კოპენჰაგენი-ბრონდბიუ ............... 3:2
ოდენსე-მიდტიულანდი .................. 3:1
ოლბორგი-ორხუსი ......................... 0:1
სონდერიისკე-რანდერსი .............. 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-ესტერსტუნდი ................ 1:1
ფალკენბერგი-მალმიო .................. 1:2
ჰაკენი-სუნდსვალდი ..................... 1:0
იორებრო-ჰამარბი ........................ 2:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-რანჰეიმი ............................ 0:1
ბოდო გლიმდტი-ლილესტრიომი ... 4:0
კრისტიანსუნდი-ტრომსო .............. 1:0
ოდ გრელანდი-სტრომგოდსეტი .... 2:1
ჰაუგესუნდი-მიოლდე ..................... 1:2
რუსენბორგი-სარპსბორგი ............. 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-კპვ .................................... 3:1
ლახტი-სეინეიოკი ......................... 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# დელტა ნახევარფინალშია, კაკტუსი — სუპერლიგაში

დასაწყისი მე-9 გვერდზე

უდო იყო, რომ დაძაბული დასკვნითი წუთები უნდა ყოფილიყო, თუმცა თსუ-ჰიუნდაის თამაში არ წაუვიდა, ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილ დინამოელებს კი — პირიქით. ანგარიშში სხვაობამ 10 ქულას გადააჭარბა და თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 20 ქულას რომ მიაღწია, შეხვედრის ბედიც გაირკვა. მატჩი სათადარიგოებმა ჩაამთავრეს და საბოლოოდ დინამოელთა 18-ქულიანი გამარჯვება დაფიქსირდა.

26 ქულით გამარჯვებულებს რეჯერ დოუელმა ულიდერა. 24 ქულა ჯორდან სვოპშირმა მოაგროვა, დემაგოი ბუბალოს ანგარიშზე კი 22 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა. თსუ-ჰიუნდაიში 18 ქულით საუკეთესო იყო ალექსანდრე ფევაძე. 16 ქულა და 10 მოხსნა გიორგი კორსანტიას ანგარიშზეა.

**კაკტუსი-კავკასია 90:69**
**(17:25, 26:19, 25:14, 22:11)**

მომავალი სეზონის სუპერლიგის ყველა მონაწილე ცნობილია. საკვალიფიკაციო სერია, რომელიც 3 მოგებამდე გახლდათ და რომლის გამარჯვებულიც სუპერლიგის საგზურს ეუფლებოდა, დასრულდა. მე-5 გადამწყვეტ შეხვედრაში კაკტუსმა ა ლიგის ფინალისტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა და სერია 3:2 მოიგო. შესაბამისად, არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა, რომლებმაც რეგულარულ ჩემპიონატში ბოლოსწინა, მე-9 ადგილი დაიკავეს, სუპერლიგაში ადგილი შეინარჩუნეს.

მატჩის პირველ ნახევარში კავკასია ლიდერობდა. ბოიან სალატიჩის გუნდი ერთხანს 10 ქულითაც იგებდა, თუმცა მეორე პერიოდის ბოლოს კაკტუსელებმა დელანო სპენსერის ლიდერობით ჩამორჩენა მინიმუმამდე აღმოფხვრეს. დიდი შესვენებისთვის კავკასია მხოლოდ 1 ქულას იგებდა და თამაში რომ განახლდა, ვითარება კარდინალურად შეიცვალა. კაკტუსმა პერიოდი 10:0 გაქცევით დაიწყო, ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიხელთა და მატჩის ბოლომდე ისე მივიდა, მეტოქე ახლოს არ მიუშვია.

საბოლოოდ 90:69 და კაკტუსმა თამაში და სუპერლიგის საგზური მოიგო.

გამარჯვებულთაგან 31 ქულით საუკეთესო იყო დელანო სპენსერი. 23 ქულა ნიკოლას ნილმა მიითვალა. კავკასიაში 19 ქულით ვენდელ ანდრე უოლკერი გამოირჩა, ვენდელ ლუისმა კი 18 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. 17 ქულით დაასრულა შეხვედრა ბექა წივწივაძემ.

# ქართველთა ტური ესპანეთსა და სერბეთში

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლდათ, გუნდი, რომელიც ამ მატჩამდე ერთი საფეხურით წინ იყო. ბურჯანაძის თანაგუნდელებმა კი სტუმრად 74:61 გაიმარჯვეს და სატურნირო ცხრილში მურსიას ადგილი გაუცვალეს.




სანსებასტიანელებს 10 მოგება, 20 წაგება აქვთ, ხოლო მურსიელებს — 9 მოგება, 21 წაგება. თუ ასე განაგრძო, გიპუზკოა ლიგაში ადგილს აუცილებლად შეინარჩუნებს, თუმცა, როგორც გითხარით, უახლოესი შეხვედრა, შენგელიას ბასკონიასთან აქვს, რომელთანაც აშკარა აუტსაიდერია.

მურსიაში გამარჯვებაში ბურჯანაძეს დიდი წვლილი მიუძღვის. ქართველმა კალათბურთელმა 29 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი შესძინა საკუთარ გუნდს. ბექამ 6-დან 3 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა და ეს ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა.

გიორგი შერმადინმა მორიგი კარგი მატჩი ჩაატარა ესპანეთის ჩემპიონატში. ქართველი ცენტრის უნიკახა სტუმრად შეხვდა ესტუდიანტესს და 80:72 რომ გაიმარჯვა, უმეტესწილად შერმადინის დამსახურებაა.

გიორგი სასტარტო ხუთეულში იყო და 22 წუთში 12 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მოაგროვა. შერმადინმა 8-დან 4 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგო. მისმა ეფექტურობის ინდექსმა 16 შეადგინა, რაც საუკეთესო შედეგი იყო მალაგელთა შორის.

18 მოგებითა და 12 წაგებით უნიკახა მყარადაა მე-5 პოზიციაზე. შემდეგი მატჩი მალაგელებს შინ, ფუენლაბრადასთან ელით.

გოგა ბითაძემ სერბეთის ჩემპიონატში გამორჩეულად შედეგიანი მატჩი ჩაატარა — 21 წუთში 18 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა, რასაც 1 პასი, 2 ჩაჭრა და ამდენივე დაფარება მიამატა. მის ანგარიშზე 9-დან 5 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 14-დან 7 საჯარიმო დაფიქსირდა.

ქართველის შედეგიანობით მეგა ბიმაქსმა სტუმრად დაამარცხა სლობოდა — 105:80.

ბ ჯგუფში ბიმაქსელებს 2 მოგება და 1 წაგება აქვთ და მეორე ადგილზე არიან. პირველზე 3 მოგებით პარტიზანია. ა ჯგუფს კი ასევე 3 მოგებით ცრვენა ზვეზდა ლიდერობს.

# ლივერპული ბარსელონას დანაკლისით შეხვდება



მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელის, პეპ გვარდიოლას თქმით, ბევრ გუნდთან მოუწია თამაში, მაგრამ მათგან მხოლოდ ორს გამოარჩევდა.

***პეპ გვარდიოლა:***

— ჩემს სამწვრთნელო კარიერაში წარმოუდგენელი გუნდების წინააღმდეგ მომიწია თამაში. ყველაზე მეტად, ორმა მათგანმა გამაოცა — ლუის ენრიკეს ბარსელონამ მესით, ნეიმარითა და სუარესით შეტევაში. მეორე კი ახლანდელი ლივერპულია. ეს ორი საუკეთესო გუნდია, ვისაც შევხვედრივარ.

დღეს კი ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან. მართალია, ბარსელონა ლუის ენრიკესა და ნეიმარის გარეშე, მაგრამ მაინც ბარსელონა, რომელიც ყოველთვის ფავორიტია. მით უფრო, შინ მოგებული 3:0-ის შემდეგ.

ლივერპული ისედაც რთულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მისი ამბავი კიდევ უფრო დამძიმდა ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურში. საქმე ის არის, რომ მერსისაიდელთა შემტევი მოჰამედ სალაჰი ბარსელონასთან შეხვედრას გამოტოვებს.

26 წლის ეგვიპტელმა ფეხბურთელმა ტრავმა პრემიერლიგაში, ნიუკასლთან სტუმრად გამართულ შეხვედრაში (3:2) მიიღო, როდესაც მეტოქე მეკარეს მარტინ დუბრავკას შეეჯახა. სალაჰმა ფეხზე დადგომა ველარ მოახერხა და ის მოედნიდან საკაცით გაიყვანეს.

სალაჰი ლივერპულის ერთადერთი დანაკლისი არ იქნება. კლოპის თქმით, ბარსელონასთან გუნდს ვერც ძირითადი თავდამსხმელი რობერტო ფირმინო დაეხმარება, რომელიც კატალონიელებთან პირველ მატჩში დაშავდა.

***იურგენ კლოპი:***

— სალაჰს ტვინის შერყევა აქვს და ვერ ითამაშებს. ის უკეთესადაა, მაგრამ ბარსასთან მოედანზე ვერ გავა. მეტიც, ბარსასთან ერთბაშად 2 ფორვარდი ვერ დაგვეხმარება, რომლებიც სამართლიანად სახელდებიან მსოფლიოს საუკეთესოთა შორის. ფინალში გასასვლელად კი 4 გოლის გატანა გვჭირდება. დიახ, მდგომარეობა მართლაც რთულია, მაგრამ სანამ გვყავს 11 ფეხბურთელი, რომლებსაც მოედანზე გასვლა შეუძლიათ, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ქუჩაში მიმავალმა მამაკაცმა შემთხვევით თავი დაიჭრა

ამერიკის ნებრასკას შტატში მამაკაცმა შემთხვევით ცეცხლსასროლი იარაღით თავი წელის არეში დაიჭრა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჭრილობა სიცოცხლისთვის სახიფათო არ აღმოჩნდა.

ქალაქ ლინკოლნის პოლიციის მონაცემებით, ინციდენტი რამდენიმე დღის წინ საღამოს საათებში მოხდა. პოლიციის მიერ შედგენილი ოქმის თანახმად, 32 წლის პიტერ იაკობსონი ქუჩაში მიდიოდა, რა დროსაც ჯიბიდან პისტოლეტი ამოუვარდა. იარაღი მიწაზე დაეცა და გაისროლა.

მამაკაცი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მიღებული ტრავმა იაკობსონის სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. პოლიციამ მამაკაცს იარაღის უკანონოდ შენახვა– ტარების და ქალაქის ფარგლებში სროლის ბრალდება წაუყენა.

*საზოგადოება*

# სოხუმის თეატრი ახალ დარბაზში პირველ პრემიერას გამართავს

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრი და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი დავით საყვარელიძე ახალ დარბაზში პირველ პრემიერას გამართავენ.

7 მაისს სოხუმის თეატრი წარმოადგენს იბსენის „თოჯინების სახლის“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლს, რომლის რეჟისორიც თავად დავით საყვარელიძეა:

— 7 მაისს გვაქვს პრემიერა. იბსენის „თოჯინების სახლი“-ს მიხედვით დავდგით სპექტაკლი. გეპატიჟებით, ვისაც გაინტერესებთ სოხუმის თეატრის ახალი დარბაზი და ჩვენი პირველი სპექტაკლი ამ ახალ სცენაზე!




*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# თოლიას ვიდეოკამერა მოეწონა და თავი მსახიობად წარმოიდგინა



მეტად თავშესაქცევი ვიდეო გავრცელდა სოციალურ ქსელებში, რომელზეც ასახულია თოლია, რომელიც ქუჩის სათვალთვალო ვიდეოკამერის წინ სიამოვნებით პოზირებს და მსახიობივით იქცევა.

ვიდეომოწყობილობამ, რაღაც მიზეზით ზღვის ფრინველი დააინტერესა და მის წინ მოკალათებულ საგზაო პოლიციის თანამშრომლებს საკუთარი პერსონით ტკბობის საშუალება მისცა. სოციალური ქსელების მომხმარებლები აღნიშნულმა ვიდეომ ძალიან გაამხიარულა. მათმა უმრავლესობამ ვარაუდი გამოთქვა, რომ, როგორც ჩანს, თოლიას მსახიობობა სურს. ალბათ გადაწყვიტა, რომ იქ კასტინგი იმართებოდა და თავს მის წინ თავის მოწონების უფლება მისცა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 7 მაისისთვის



**ვერძი** — ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** — მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** — თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** — იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** — დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** — თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** — გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. ესპანელი ფერმწერი; 2. მდინარე ქციას სახელწოდება ქვედა დინებაში; 3. ხის ჩასაბერი ქართული ხალხური ინსტრუმენტი; 4. ქულა ძიუდოში; 5. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 6. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 11. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 13. სამხრეთ ამერიკის აღმომჩენი იტალიელი ზღვაოსანი; 14. კომიკური ოპერების სახელწოდება ავსტრიასა და გერმანიაში; 15. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 17. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 18. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 19. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

**თარაზულად:** 5. მეფის სიგელი; 8. უმაღლესი სასულიერო წოდება ქართულ ეკლესიაში; 9. ბირმას დღევანდელი სახელწოდება; 10. ძველებური ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 12. გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი მეტალურგიაში; 14. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 16. ჟორჟ სანდის რომანი; 18. აშშ-ს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი; 20. ინდური კანაფისაგან დამზადებული ნარკოტიკი; 21. ელექტრობის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. ბუნებრივი წყალვარდნილი; 23. ღამის ფრინველი; 24. შიგაწვის ძრავის მქონე ორთვლიანი მანქანა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სერბაისი; 6. ოლიმპია; 8. გავროში; 10. პარაშუტი; 11. კნეინა; 13. კლაუდია; 16. პირამიდა; 18. საუნა; 19. კოლტი; 21. სირაჯი; 22. ანდამატი; 23. მონტეგი.

**შვეულად:** 1. პელერინა; 2. ნიყვი; 3. სინეკურა; 4. სამაია; 7. აშარი; 9. კნუტი; 12. ნიუნბერგი; 14. ტიგრან; 15. შროშანი; 17. ბანკეტი; 20. პიეტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აპრიორი; 2. კარმენი; 3. რეა; 4. პოლემიკა; 5. აკრი; 6. ნეო; 7. მემ; 8. კანკანი; 9. პინა; 10. რუ; 11. მენელაე; 12. ია; 13. ამინ; 14. კრიმინალი; 15. მირონი; 16. კაპრიატი; 17. ერა; 18. ფრე; 19. არითმეტიკა; 20. წამალი; 21. წერტილი; 22. ალ; 23. მიკრონი; 24. არი; 25. ლეი; 26. ბარდნალა; 27. პალიტრა; 28. ვალდივია; 29. პა; 30. ვო; 31. დე; 32. ავლაბარი.

**სურათებზე:** ჰელენ ბონემ კარტერი; სოლ კემპბელი.

# ოთო ნემსაძე ევროვიზიაზე გაემგზავრა



საქართველოს წარმომადგენელი „ევროვიზია 2019“-ზე ოთო ნემსაძე ევროვიზიაზე ისრაელში გაემგზავრა.

საქართველოს დელეგაცია უკვე თელ-ავივშია და ოთომ ევროვიზიის სცენაზე პირველი რეპეტიციაც გაიარა. ევროვიზიის სიმღერის რიგით 64-ე კონკურსის ქართველი მონაწილე ოთო ნემსაძე სცენაზე ხუთი ბექვოკალისტის გიორგი კანანაძის, გიგა ჩიგოგიძის, დათო ცინცაძის, სპარტაკ შარიქაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის თანხლებით წარდგა. მომღერლები 2005 წელს დაარსებული ფოლკლორული ანსამბლის „შავნაბადას“ წევრები არიან. მიხეილ ჯავახიშვილი გასულ წელს ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „ირიაოს“ ერთ-ერთი წევრია.

საქართველოს წარმომადგენლის წლევანდელი საკონკურსო სიმღერა „სულ წინ იარე“ კომპოზიტორ რომა გიორგაძეს ეკუთვნის, ტექსტი კი დიანა გიორგაძემ დაწერა. სიმღერაზე ვიდეორგოლი რეჟისორმა გიორგი ებრალიძემ გადაიღო. გადაღებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარეობდა. კლიპში ოთო ნემსაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ანსამბლ „შავნაბადას“ წევრებმა და სპეციალურად კლიპისთვის შერჩეულმა 50-ზე მეტმა ადამიანმა.

— როგორც იმ რეგიონის წარმომადგენლისთვის, რომელიც დღეს მავთულხლართებში გაბმული, მავთულხლართების დანახვა ჩემთვის არ არის მარტივი. ვფიქრობ, ეს ვიდეოკლიპი გულგრილს არავის დატოვებს. მთავარი გზავნილი ასეთია: საქართველოში არ არსებობს გაყოფილი კუთხეები, ადრე თუ გვიან მავთულები დაინგრევა და ჩვენ ყველანი ისევ ერთად ვიმღერებთ „ვარადასაც“, „ვარაიდასაც“ და სხვა სიმღერებსაც, — განაცხადა ოთო ნემსაძემ.

ქართველი მომღერალი ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე 14 მაისს პირველ ნახევარფინალში მე-11 ნომრად იმღერებს. ოთოს სასცენო იმიჯზე დიზაინერი გიორგი შალაშვილი იმუშავებს.

წელს ევროვიზიაში ორი ქართველი მომღერალი მონაწილეობს — ოთო ნემსაძე საქართველოს წარადგენს, ხოლო თამთა გოდუაძე კვიპროსის წარმომადგენელია. თამთამაც და ოთომაც უკვე გაავრცელეს სპეციალური ვიდეომიმართვები, სადაც მსმენელს მხარდაჭერისკენ მოუწოდეს. ორივე ქართველი მომღერლის გამოსვლას ევროვიზიის ოფიციალურ გვერდზე ბევრი მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

ევროვიზიის სიმღერის რიგით 64-ე კონკურსს წელს თელ ავივი მასპინძლობს. გრანდიოზული შოუს ნახევარფინალები 14 და 16 მაისს, ხოლო ფინალი 18 მაისს ჩატარდება. კონკურსის პირდაპირი ტრანსლაცია ტრადიციულად პირველი არხის ეთერში განხორციელდება.

# წიგნის ეროვნული ცენტრი გაუქმებულია

ქართული
წიგნის
ეროვნული
ცენტრი

წიგნის ეროვნული ცენტრის გაუქმების შესახებ ინფორმაცია პოეტმა რატი ამაღლობელმა გაავრცელა და მას მწერლებზე შურისძიება უწოდა:

— უქმდება, უფრო სწორად, უკვე გააუქმეს წიგნის ეროვნული ცენტრი, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული საერთაშორისო მასშტაბის მართლაც ეროვნული პროექტი, ისე, რომ ამ სფეროს არც ერთ წარმომადგენელთან არანაირი კონსულტაცია არ ყოფილა.

ეს, სავარაუდოდ, მწერლებზე შურისძიებაა ზვიად რატიანის საქმის გამო და არა მარტო, შურისძიება უშუალოდ საყდრისის ამფეთქებლებისგან. ვნახოთ, როგორი იქნება მწერლების პასუხი, მათაც იციან „შურისძიება“, ოღონდ წიგნებით, რომლებიც, როგორც წესი, მინისტრებზე დიდხანს ძლებენ და თავს მათ შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს აკითხებენ გაუნელებელი ინტერესით.“

**თეონა დოლენჯაშვილი, მწერალი:**

— ეს რა არის? მწერლებზე შურისძიება?

ჯერ მხოლოდ კითხვას ვსვამ — „სსიპ „ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი“ და სსიპ „მწერალთა სახლი“ გაერთიანდება და მათ ბაზაზე სსიპ „ლიტერატურის ეროვნული ფონდი“ შეიქმნება.

**ალეკო შუღლაძე, მწერალი:**

— წიგნის ეროვნული ცენტრის სხვა დაწესებულებებთან შერწყმა არაფრით არ გამოვა. თან აქ ეშმაკობას აქვს ადგილი, ეტყობა, მომავალში ცენტრის გაუქმებაა დაგეგმილი. ეს არის მავნებლობა. წიგნის ცენტრის გაუქმება არის დანაშაული მიმართული ქართული ლიტერატურის წინააღმდეგ.

პროტესტს ვაცხადებ! პროტესტს ვაცხადებ!

შევხვდეთ იმას, ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებს და შევაგნებინოთ, რომ ჩვენს საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფს!

ყელში ამოვიდნენ! თავიანთი სულელური საქციელით ყელში ამოვიდნენ!

არც ჩემი „გადამალვა“ და არც ჩემი მეგობრების წიგნები არ ითარგმნებოდა არც გერმანულად და არც ინგლისურად, რომ არა წიგნის ცენტრი.

გვაცალეთ ცხოვრება! ხელს ნუ გვიშლით! ნუ მავნებლობთ!

აქციების და მიტინგების დრო მოვიდა ისევ!

# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა მიქაიას მოგონება



ერთი წელია უეცრად შეწყდა შენი გულის ფეთქვა. გიყვარდა სიცოცხლე, იყავი ბედნიერი. სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს უხვად უნაწილებდი ნათესავებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, მეზობლებს.

წახვედი ქვეყნიდან იმედით, რომ საქართველო გაბრწყინდებოდა და ქართული სული გამარჯვებული იქნებოდა.

გვიჭირს უშენობა, დაგვრჩი მოგონებად. გვენატრები, უსაზღვროდ გვენატრები.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს ზეცად ამაღლებული შენი ლამაზი სული!

*შპს კანისა და ვენსნეულებათა*
*ს/კ ეროვნული ცენტრის თანამშრომლები*



მეუღლე ნათელა დევაძე, ვაჟი გიორგი დარციმელია, სიმამრი ტიტე დევაძე, ცოლისდა მანანა დევაძე, ძმები ნუგზარ და გიული დარციმელიები ოჯახებით, ახლო ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი და შესანიშნავი ადამიანის, ფინანსთა სამინისტროსა და საგადასახადო სამსახურის ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკის, სერტიფიცირებული აუდიტორის

**ავთანდილ ოთარის ძე დარციმელიას**

მოულოდნელ და უდროო გარდაცვალებას.

ავთო, ღმერთმა ნათელსა და სასუფეველში ამყოფოს შენი წმინდა სული. შენ ჩვენ მუდამ გვემახსოვრები და გვეყვარები! უშენოდ დიდი ტკივილი და სიცარიელეა! უფალს ებარებოდე!

„თბილლიფტის“ ყოფილი თანამშრომლები თანაუგრძნობენ „საქლიფტის“ ყოფილ უფროსს, ტიტე დევაძეს სიძის

**ავთანდილ ოთარის ძე დარციმელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს ნათელა დევაძეს, გიორგი დარციმელიას და მანანა დევაძეს.

გამოსვენება: 7 მაისს, 15 საათზე, ზაჰესის გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიიდან.

*ვახტანგ გუმბერიძე, შალვა გუმბერიძე, მურმან მაკარიძე*

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თვალსაჩინო ქართველი ფიზიკოსის, გამგეობის წევრის, პროფესორ

**ალექსი გერასიმოვის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თბილისის ცენტრში სულს ლაფავს უნიკალური ქანდაკება



დედაქალაქის ცენტრში უნიკალური ქანდაკება უმძიმეს მდგომარეობაშია და სულს ლაფავს.

ინფორმაცია და ფოტოები ამის შესახებ ირაკლი ორაგველიძემ გაავრცელა:

— იმ ფონზე, როცა ქალაქის მერია მილიონებს ხარჯავს ბაღების რეაბილიტაციზე, თბილისის ცენტრში სულს ლაფავს უნიკალური ქანდაკება, რომლის ტყუპისცალი გაგრის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე დგას.

ამ ქანდაკების ავტორია მოქანდაკე თემო-ჭილო ჭყონია.

# გელა დაიაური: „გაუფრთხილდით ოჯახებს!“




— შენით და შენს გამო მინდა ვუთხრა ყველას, დედამიწას და ადამიანებს: — თუ გიყვარს, უნდა გიყვარდეს, უნდა გიყვარდეს, ოღონდ ისე, როგორც მე შენ მიყვარხარ, — ამბობს პოეტი გელა დაიაური და მის მოგონებებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდს იხსენებს:

— ოჯახი... მამაჩემის მონაყოლიდან მახსოვს, ბებია თურმე ეტყოდა ბავშვებს, ნუ ხმაურობთ, ანგელოზები დაფრთხებიანო.

არ გასწავლით, მაგრამ ჩვეულებრივ ამბად იქცა ოჯახების დანგრევა. მე მიკვირს, ესე ადვილად როგორ ელევიან ერთმანეთს.

გაუფრთხილდით ოჯახებს. თქვენს შორის ხომ უფალი დგას. გაუფრთხილდით ერთმანეთს, თითქოს დღეს შეგიყვარდათ ერთმანეთი. ნუ იჩხუბებთ, ნუ იყვირებთ. ანგელოზები არ დააფრთხოთ თქვენი ოჯახებიდან და თქვენი სულებიდან!

# ელისო ბოლქვაძე სახვითი ხელოვნების მუზეუმში კლასიკური მუსიკის სივრცეს გახსნის




იუნესკოს მშვიდობის არტისტის ტიტულის მფლობელი ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში კლასიკური მუსიკის ახალ სივრცეს გახსნის.

**ელისო ბოლქვაძე, პიანისტი:**

— 7 მაისს ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში გავხსნი კლასიკური მუსიკის ახალ სივრცეს. დიდი მადლობა მანანა შევარდნაძეს და გია ჯოხთაბერიძეს არაჩვეულებრივი კულტურული ცენტრის შექმნისთვის! დასწრება შესაძლებელია მხოლოდ მოსაწვევებით.

# ხახულის ხატისთვის საგალობელი დაიწერა



ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისადმი საგალობელი დაიწერა, რომლის ავტორიც ირაკლი ბერიძეა.

საგალობლის წარდგინება სამების საკათედრო ტაძარში მდებარე საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში 7 მაისს გაიმართება.

საგალობლის წარდგენასთან ერთად მოეწყობა საჯარო ლექციაც. ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

# საზოგადოება სუხიშვილებს მხარდაჭერას უცხადებს




ქართულ ნაციონალურ ბალეტ სუხიშვილებს საზოგადოების ნაწილი სრულ მხარდაჭერას უცხადებს და 17 მაისს დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობის გამო მათზე ზეწოლას აპროტესტებს.

პროტესტს უერთდება მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილიც:

— წადი თქვენი! ვინც სუხიშვილებს დაბლოკავს, თქვენს პატრონს! არ გაბლატავდნენ მართლა ეს პიდა..სტები?! რა ჰომოფობია, თქვე დედა აფეთქებულებო, ოჯახის სიწმინდის დღეს რომ მომღერლებმა იმღერონ, ან მოცეკვავეებმა იცეკვონ, ეს ჰომოფობიაა?

თუ ჰომოფობიაა, მაშინ რაც თავში გითხარით, ისევ იგივეს გავიმეორებ თქვენი მისამართით მოგ.... ნუ გადამიყვანთ მართლა ჭკუიდან ამ უწყინარ კაცს!

# ანსამბლმა „შვიდკაცამ“ კუნძულ კრეტაზე იგალობა



ანსამბლმა „შვიდკაცამ“ კუნძულ კრეტაზე იგალობა. მომღერლები ბრწყინვალე შვიდეულში წმინდა სამების საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტ მამა ილიასთან (ნასიძე) და მის მრევლთან ერთად კუნძულ კრეტაზე, სიწმინდეების მოსალოცად იმყოფებოდნენ.

მომლოცველთა ჯგუფმა მოილოცა ლიბიის ზღვასთან მდებარე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის პრეველის მონასტერი, სადაც სასწაულმოქმედი ჯვარი ინახება, მასში მაცხოვრის ჯვარცმის ნაწილია მოთავსებული.

ამავე კუნძულზე მაცხოვრის ჯვრის კიდევ ერთი ნაწილი ინახება, რომელიც საგანგებოდ ქართული ჯგუფისთვის გამოაბრძანეს რეტიმნოს ოთხი წმინდანის სახელობის ტაძარში. მამა ილიამ საგანგებო პარაკლისი გადაიხადა, მრევლს კი ამ სიწმინდის მოლოცვის საშუალება ჰქონდა. ქართული გალობა შესრულდა ასევე ქალაქ რეტიმნოს არკადიის უძველეს მონასტერში, კრეტის ზღვაში მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის საყდარში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.707

ევრო — 3.0194

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5183

100 რუსული რუბლი — 4.1400

## ამინდის პროგნოზი 7 მაისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

### 23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

**პინოკიოს თავგადასავალი**




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

### 1 მაისიდან

ალექსანდრე დიუმა

**კავკასია**




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

### 12 აპრილიდან




ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

### 19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი II




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

### 3 მაისიდან




ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

### 10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— იცი, ადამიანის მთავარი ორგანო უკანალია.

— რაა? ეგ როგორ?

— როგორ და, ყველაფერში ის მონაწილეობს — მკურნალობაში, სწავლაში, აღზრდაში, გადაწყვეტილებების მიღებასა და თავგადასავლების მოძიებაში.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— იცი, გუშინ ჩემი ქმარი გამოვიჭირე!

— რას მეუბნები?

— წარმოგიდგენია, სახლში ვბრუნდები და ის ნაძირალა ჩემი კატით თავის ნოუთბუქს აპრიალებდა!

●●●

შვილი მშობლებს ეუბნება:

— იცით, გივის მშობლები სწავლაში ფულს უხდიან.

— ეგ როგორ?

— როგორ და, თუ უმაღლეს შეფასებას მიიღებს, 100 ლარს აძლევენ, კარგი შეფასებისთვის — 50 ლარს, დამაკმაყოფილებლისთვის 50 ლარს ართმევენ, ხოლო ცუდი შეფასებისთვის — 100 ლარს.

— და მერე, ბევრი გამოიმუშავა გივიმ?

— ახლა ავტოსამრეცხაოში მუშაობს მშობლების ვალის გასასტუმრებლად.

●●●

მამა ბავშვებს ეკითხება:

— აბა, ბავშვებო, ამ კვირაში ვინ იყო ყველაზე დამჯერი, ყველაზე ხშირად ვინ ახარებდა დედიკოს, ვინ არ ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი მიზეზით და ვინ აკეთებდა ყველაფერს რასაც კი დედიკო დაავალებდა?

— შენ, მამიკო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ბიჭო, როდესაც სათევზაოდ ძველი, დანჯღრეული მანქანით მივდივარ, ირგვლივ სრული სიწყნარეა, თევზი ანკესზე შესანიშნავად მოდის, მაგრამ, საკმარისია, ჩემი ახალთახალი მერსედესით წავიდე, რომ იქაურობა მაშინვე გოგონებით ივსება, წყალში ხტებიან და ბანაობას იწყებენ.

— ეტყობა, ეგენიც თევზაობენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სოლსკიაერი: „მომავალი სეზონისთვის უნდა მოვემზადოთ“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ ეს სეზონი მისმა გუნდმა მალე უნდა დაივიწყოს და შემდეგი სეზონისთვის მოემზადოს. სოლსკიაერის აზრით, მანჩესტერს შეუძლია პროგრესირება:

— სეზონის ბოლო ნაწილი ჩვენთვის ძალიან ცუდი გამოდგა, მაგრამ მომავალს მაინც იმედით ვუყურებ. ჩვენ შეგვიძლია პროგრესირება, უბრალოდ, სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ზაფხულში ბევრს ვიმუშავებთ და სეზონის დასაწყისს სათანადოდ მომზადებული შევხვდებით.

უკვე ცნობილია, რომ მანჩესტერ იუნაიტედი მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს.

## ზიდანმა ბეილი მატჩის განაცხადში არ შეიყვანა



გარეტ ბეილის და ზინედინ ზიდანის დაპირისპირება პიკს აღწევს. ვილიარეალთან შეხვედრაში გარეტ ბეილი გუნდის განაცხადშიც არ იყო და რამდენადაც ცნობილია, მას ტრავმა არ აწუხებს. ზიდანმა ამ ფაქტზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ზიდანს და ბეილს ერთმანეთთან კონფლიქტი აქვთ. სეზონის ბოლოს უელსელი ფეხბურთელი რეალს დატოვებს, თუმცა სად გააგრძელებს კარიერას, ჯერჯერობით უცნობია.

სავარაუდოდ, ის ინგლისში დაბრუნდება, სადაც მისით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული.

## უნაი ემერი: „ევროპის ლიგა უნდა მოვიგოთ“



არსენალის მთავარმა მწვრთნელმა უნაი ემერიმ ბრაიტონთან ფრედ ნათამაშები შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის ახლა მთავარი ევროპის ლიგის მოგებაა. ბრაიტონთან ვერმოგებამ გამოიწვია ის, რომ არსენალი ოთხეულში ვეღარ მოხვდება:

— სამწუხაროა რომ ინგლისის ჩემპიონატს ოთხეულის მიღმა ვასრულებთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპის ლიგაში კიდევ გვაქვს შანსები და თუ ეს ტურნირი მოვიგეთ, სეზონი წარმატებული იქნება.

## ბასილაშვილი მადრიდის მასტერსს გამოეთიშა



ნიკოლოზ ბასილაშვილი მადრიდის მასტერსს გამოეთიშა. ქართველმა ჩოგბურთელმა ამერიკელ ფრანსის ტიაფოსთან წააგო პირველივე წრეში ანგარიშით 7:6, 4:6, 3:6. ნიკა მეორე სეტში 3:1 იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ უამრავი შეცდომა დაუშვა, რის გამოც დამარცხდა კიდეც.

ბასილაშვილი ამჟამად მე-17 ჩოგანია მსოფლიო რეიტინგში, მაგრამ მომავალ კვირას ის, სავარაუდოდ, უკან დაიხევს.

## პრინც ჰარის და მეგან მარკლს ვაჟი შეეძინათ

ბრიტანეთის პრინც ჰარის და სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლს ვაჟი შეეძინათ, ეს მათი პირველი შვილია. ჰარისა და მეგანის ვაჟი, დედოფალ ელისაბედ II-ის მერვე შვილთაშვილი ბრიტანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეთა სიაში რიგით მეშვიდეა, მის წინ არიან ბაბუა — პრინცი ჩარლზი, ბიძა — კემბრიჯის ჰერცოგი, პრინცი უილიამი, უილიამის შვილები — ჯორჯი, შარლოტა და ლუისი და პატარა პრინცის მამა — ჰარი.



1917 წელს ჯორჯ V-ის მიერ მიღებული კანონის თანახმად, სამეფო ოჯახში დაბადებული ბავშვები პრინცის და პრინცესის ტიტულს მაშინვე არ იღებენ, თუ ისინი ტახტის მემკვიდრეთა სიაში საწყის პოზიციებს არ იკავებენ.

დედოფალ ელისაბედ II-ს ამ კანონში ცვლილებების შეტანა მოუწია უილიამის უმცროს შვილებთან შარლლოტასა და ლუისთან დაკავშირებით. პრინცმა ჯორჯმა ეს ტიტული ავტომატურად მიიღო, რადგან ის ტახტის მემკვიდრეთა სიაში მესამე ადგილს იკავებს.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ისტორიული მოედანი პარიზში; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოწყებული მეცნიერული ვარაუდი; 3. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 4. ფინეთის ისტორიული სახელწოდება; 5. საახალწლო ტკბილეული; 8. სასიგნალო მოწყობილობა რკინიგზაზე; 12. ძიუდოისტის, კარატისტის ოსტატობის მაჩვენებლი თანრიგი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 16. კბილების დაავადება; 18. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში; 20. ნორვეგიის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. პოპულარული იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 9. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 10. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი, დამფინანსებელი; 11. სასჯელი ქურდობისათვის ძველ ქართულ სამართალში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ჰოლანდიაში; 17. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 19. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 21. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 22. ვაშლის ქართული ჯიში; 23. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

